პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 108 (9576) | პარასკევი, 8 მაისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

ფართოდ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება — **მოწინავე.**

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

ქვანახშირის ამოღების ახალი მოწინავე ტექნოლოგია (1-ლი გვერდი).

საფლეისო თემაზე. პედაგოგიკურ მეცნიერებათა პროპაგანდა (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება. **გ. მეფისაშვილი.** — უფერული მოხსენება და ზერელე კამათი. **ვ. კოპალეიშვილი.** — კომუნისტთა შენიშვნები (მე-2 გვერდი).

ფელეტონის მაგივრ. **კ. გოცირიძე.** — ამბავი ტელეფონესი... (მე-2 გვერდი).

ე. ზედგინიძე. — სოფლის სურათები (მე-2 გვერდი).

ვ. მაევსკი. — შექსპირის სამშობლოში (მე-3 გვერდი).

პროფკავშირები და მშრომელთა დეპუტატები (მე-3 გვერდი).

ვ. გელაშვილი. — კურორტ ჯაკარი (მე-3 გვერდი).

საყოფაცხოვრებო თემაზე. **ე. მამალაძე.** — მოდების ფაბრიკა (მე-3 გვერდი).

უცხოეთისა და რესპუბლიკური ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდები).

ფართოდ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ გამოეხმაურნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებას — ამრავლონ თავიანთი ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად, ზარდონ თავიანთი წვლილი კომუნისტური საზოგადოების შენებლობის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საერთო საქმეში.

მასების შრომითი თავდადება მკაფიო გამოხატულებას პოულობს მთელ ჩვენს დიად სამშობლოში უმაგალითო ენთუზიაზმით გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქალაქისა და სოფლის მშრომელები მასობრივად არიან ჩაბმულნი შეჯიბრებაში, კისრულობენ ახალ გადიდებულ საწარმოო ვალდებულებათა შესრულებას, მუშაობაში აღებული მაღალი ტემპის ბოლომდე შენარჩუნებას, რათა უზრუნველყონ მეხუთე სტალინური ხუთწლედის ვადამდე განაღდება.

მასების ამ პატრიოტულ შრომითს აქტივობას სათავეში უდგას ლენინ — სტალინის დიადი პარტია, რომლის მუშაობის მთავარი მეთოდია თვითკრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა, რაც ჩვენი სახელმწიფოს, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების, მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განმტკიცების მტკიცე საწინდარია.

სოციალისტურმა წყობილებამ ფართო ასპარეზი გადაუშალა და განუსაზღვრელი შესაძლებლობანი მისცა მშრომელებს ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედებისათვის. ამის შედეგია ის, რომ ჩვენში დღითიდღე იზრდება წარმოების ნოვატორთა რიგები, იმ მოწინავე ადამიანთა რიგები, რომლებმაც არათუ აითვისეს ტექნიკური მინიმუმი, არამედ უფრო შორსაც წავიდნენ, ტექნიკური პერსონალის დონეზე დადგნენ, იწყეს ტექნიკოსებისა და ინჟინრებისათვის შესწორებათა მიცემა, არსებული ნორმების, როგორც დაძველებული ნორმების, დამსხვრევა, ახალი, უფრო თანამედროვე ნორმების შემოღება.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითი აქტივობა არასოდეს ისეთ მაღალ დონეზე არ ყოფილა, როგორც ახლა. ჭიათურის მაღაროებში მომუშავე ნოვატორებმა მიმდინარე წელს დანერგეს ბევრი რაციონალიზატორული წინადადება, განახორციელეს მრავალი გაუმჯობესება და ამის შედეგად მიაღწიეს ასეული ათასი მანეთის ეკონომიას.

რუსთავში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საგლინავ საამქროში წელს აითვისეს ნაგლინის ზედაპირის მექანიკური წმენდა, რისთვისაც გამოიყენეს ე. წ. უცენტრო-სარანდავი დაზგა, რაც საკავშირო მნიშვნელობის გაუმჯობესებად არის მიჩნეული. ამით რუსთაველმა მგლინავებმა დიდად გააუმჯობესეს ლითონის ამომკვეთთა მუშაობის პირობები, მიაღწიეს მათი შრომის ნაყოფიერების საგრძნობ ზრდას.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ჩქაროსანმა ხარატმა, ნოვატორმა ილია ჭუმბურიძემ საქართველოში პირველმა დაიწყო ცნობილი საბჭოთა ნოვატორის ვასილ კოლესოვის მეთოდით მუშაობა — ლითონის ძალოსნური ჭრა, რამაც მას გაუადვილა პროდუქციის გამოშვების გადიდება, დეტალების დამუშავების ხარისხის ამაღლება და დამხმარე სამუშაო დროის შეკვეცა.

ვ. კოლესოვის მეთოდით მუშაობის დაწყების შემდეგ ი. ჭუმბურიძე გეგმებს თანდათან მზარდი მაჩვენებლებით ასრულებს და ამ გარემოებამ ქარხანაში მომუშავე ხარატების საერთო ყურადღება მიიქცია. ამჟამად ქარხანაში ძალოსნური ჭრის მეთოდით მუშაობენ და მთელი რიგი დიდგაბარიტიანი საორთქლმავლო დეტალების დამუშავებისას ახალი გეომეტრიის საჭრისებს იყენებენ მოწინავე სტახანოველი ხარატები.

სამწუხაროდ, ნოვატორ ი. ჭუმბურიძის ეს თაოსნობა ქარხნის კედლებს არ გაშორებია, ამ გამოცდილებით არ უსარგებლია არც ერთ მეზობელ საწარმოს. ისეთ მოწინავე საწარმოშიც კი, როგორიც კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანაა, არაფერი იციან ი. ჭუმბურიძის გამოცდილების შესახებ და მხოლოდ ახლა იწყებენ მზადებას ძალოსნური მეთოდით მუშაობაზე რამდენიმე ხარატის გადასაყვანად. 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში კი სულ გამორჩათ მხედველობიდან კოლესოვის წამოწყებაც და ი. ჭუმბურიძის გამოცდილების გაცნობის საჭიროებაც.

ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც საწარმოთა პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ხელმძღვანელების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მუშაობის მოწინავე მეთოდების მასობრივად დანერგვისათვის ხელის შეწყობა, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელება. პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში მითითებულია, რომ „საჭიროა ყველა ღონისძიებით გაეწიოს დახმარება სამრეწველო და საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორებს, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოწინავეებს მათს მისწრაფებაში — გაადიდონ წარმოება, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ თვითღირებულება“.

მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებაში, მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების გავრცელებასა და სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის მთელ რიგ საწარმოებში ვხედებით ფორმალიზმს. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ზოგ საწარმოში მალე მიეცა დავიწყებას ისეთი სასარგებლო და დიდი საქმე, როგორიც არის პროფესიათაშორის სოციალისტური შეჯიბრება, ინჟინერ კოვალიოვის მეთოდით მუშაობა — ცალკე ოპერაციებას მიხედვით მუშაობის საუკეთესო ხერხების მასობრივად შესწავლა და ამ ხერხების დანერგვა, კომპლექსური ეკონომიისათვის ბრძოლის მოწყობა და ა. შ.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს ხარატი ვახტანგ ტოკაშვილი, მაგრამ იქვე არიან ხარატები, რომლებიც მას დიდად ჩამორჩებიან. რატომ არ შეიძლებოდა ვ. ტოკაშვილის გამოცდილების სხვებისათვის გაზიარება და ამით საერთო ალმავლობის დაჩქარება? ეს სავსებით შესაძლებელია, თუ ამ საქმეს მტკიცედ მოჰკიდებენ ხელს ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები. სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაშლას, მასში მასების აქტიურ მონაწილეობას, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას ბევრგან სერიოზულად აფერხებს წარმოების შეუფერებელი ორგანიზაცია, ცუდი დაგეგმვა, ტექნიკური პროგრესისათვის არასაკმაო სიმტკიცით ბრძოლა.

კრიტიკა და თვითკრიტიკა პარტიის მაერ მრავალგზის ნაცადი იარაღია ნაკლოვანებების, შეცდომების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ ნაკლოვანებების, შეცდომების გამოსწორებისათვის ბრძოლაში. ამიტომ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა უზრუნველყონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ბასრი იარაღის გამოყენება მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსავლენებლად, ყველა იმ მიზეზის აღმოსაფხვრელად, რომლებიც აფერხებს მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას, ყოველივე ახლის, მზარდის განვითარებას.

ეს საჭიროა განსაკუთრებით ახლა, როდესაც საქართველოს კომუნისტები და მშრომელთა უფართოესი მასები ენერგიულად ემზადებიან საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის აღსანიშნავად ახალ საწარმოო წარმატებათა მოპოვებისათვის.

ჩაის ფოთლის ახალი მოსავალი

ხობი. (სპეც. კორ.). სოფლების ნოჯიხევის, ახალხიბულისა და ბიას კოლმეურნეობათა წევრები 6 მაისს გავიდნენ ჩაის შერჩევით საკრეფად. პირველ დღეს მოკრიფეს და ფაბრიკას ჩააბარეს 2 ათასამდე კილოგრამი ნედლეული. სამაგალითოდ მუშაობს ქსენია კევალიშვილი, რომელმაც დღიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. იგი მიზნად ისახავს ჰექტარზე მიიღოს 16 ათასი კილოგრამი მაღალხარისხოვანი ფოთოლი. ჩაის კრეფის დღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ ახალხიბულელი მეჩაიეები თ. ბასილაია და მ. ჯიშკარიანი.

* * *

ლანჩხუთი. (სპეც. კორ.). ჩაის კრეფას პირველნი შეუდგნენ სოფელ ღრმაღელის ლენინის სახელობისა და წყალწმინდას მარქსის სახელობის კოლმეურნეობები. სუფსის ფაბრიკამ უკვე მიიღო გადასამუშავებლად მაღალხარისხოვანი ნედლეულის პირველი პარტია.

ჩვენს დიად სამშობლოში

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ. ბაიკალის ტბის ლამაზ ნაპირზე აგებულია უსტ-ბარგუზინსკის თევზის კომბინატი. მილიონობით ქილა თევზის კონსერვი, დამარილებული ომულის კასრები, შებოლილი თევზის ყუთები იგზავნება: აქედან ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში.

ს ურ ა თ ზ ე: დამარილებული ომულის კასრების მორიგი პარტიის ჩატვირთვა გემში.

ფოტო დ. ნოსოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

მეშახტის დიდების მუზეუმი

ხ ტ ა ლ ი ნ ო. აქ გაიხსნა საოლქო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მის დარბაზებში გამოფენილია ათასამდე დოკუმენტი, ფოტოსურათი, სურათი და სხვა ექსპონატი, რომლებიც მოწმობენ, თუ როგორ აყვავდა დონეცის აუზი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა ჩვენი ქვეყნის ყველაზე მექანიზებული ქვანახშირის აუზი.

დონბასი სტახანოვური მოძრაობის სამშობლოა. 1935 წლის სექტემბრის დაუვიწყარ დღეს მოგვაგონებს ფოტოსურათი, სადაც ალექსი სტახანოვი გადაღებულია სანგრევში, მირონ დიუკანოვის, ნიკიტა იზოტოვისა და სხვა სახელმოხვეჭილ მეშახტეთა პორტრეტები, მათ ერთ დროს შრომის უმაგალითო ნაყოფიერებას მიაღწიეს.

აუმჯობესებენ ტექნოლოგიას

მოსკოვის ქარხანა „კალიბრის“ ნოვატორები აუმჯობესებენ წარმოების ტექნოლოგიას. წლის დამდეგიდან რაციონალიზატორებისაგან შემოვიდა 260-ზე მეტი წინადადება. 111 სიახლის დანერგვით ქარხანამ დაზოგა 315 ათასი მანეთი.

სამჭედლო საამქროს ოსტატმა ნ. მარკეევმა შეიტანა წინადადება მიკრომეტრების ჩანგლების დატვიფრვის შედეგ ნარჩენთა გამოყენების შესახებ. ამ ნარჩენებიდან ახლა აკეთებენ ქანჩებს. სიახლის მეოხებით დაზოგილ იქნა შვიდ ტონაზე მეტი ლითონი. ზეინკალმა ვ. ღურასოვმა შეცვალა შტანგენფარგლის დეტალების დასამზადებელი ტვიფრის კონსტრუქცია. შედეგად დაზოგილ იქნა 26 ტონა ლითონი.

„სტალინგრადჰიდრომშენის“ ბეტონსაზიდავი ესტაკადა

დნეპროპეტროვსკი, 5 მაისი. (საკდესი). დნეპროპეტროვსკის მოლოტოვის სახელობის ქარხნის მელითონეებმა წარმატებით დაამთავრეს სტალინგრადის ჰესის მშენებლობისათვის ბეტონსაზიდავი ესტაკადის გაკეთება. აწყობილია ამ გიგანტური ნაგებობის 5.200 ტონაზე მეტი კონსტრუქცია. ესტაკადით გადაიტანენ ბეტონითა და სხვა საშენი მასალებით დატვირთულ ვაგონეტებს, ხოლო მისი კონსტრუქციები ვოლგის კაშხალის მტკიცე ფოლადის არმატურა იქნება.

დიადი მშენებლობის საპატიო დაკვეთის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში ქარხნის სტახანოველებმა შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინეს. ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის ჰიდრონაგებობათა მონტაჟის მონაწილე მაქსიმე ჩმონამ გამოიყენა მოქლონვის ჩქარაოსნული მეთოდი და ორმაგ გამომუშავებას მიაღწია. ამხანაგების ტროიანისა და ვოლოშინის ამწყობთა ბრიგადებმა გააკეთეს სამარჯვების კომპლექტები, რომელთა შემწეობითაც მათ ერთიორად შეამცირეს 40-მეტრიან საყრდენთა აწყობის დრო.

დღეს ქარხნიდან გავიდა ესტაკადის კონსტრუქციების მორიგი ეშელონი. კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 10 მაისისათვის დაამთავროს ესტაკადის ყველა კვანძის გაგზავნა სტალინგრადში.

ჯაჯიკეთში მარცვლი დამწიფდა

კურგან-ტიუბე. (ტაჯიკეთის სსრ). 5 მაისი. (საკდესი). ვახშისა და კაფირნიგანის ველებში ცხელი ამინდი დადგა. სწრაფად იზრდება ბოსტნეული და ბალჩეული კულტურები, მწიფდება, გარგარი, ალუბალი.

კურგან-ტიუბეს, კაგანოვიჩაბადის, შაარტუზის და კიროვაბადის რაიონების კოლმეურნეობები შეუდგნენ მარწყვის უხვი მოსავლის კრეფას.

მოლდავეთის ყოველ სოფელში სამედიცინო დაწესებულებაა

კიშინიოვი, 6 მაისი. (საკდესი). რაიონულ ცენტრ ოლონეშტში დამთავრდა რაიონული საავადმყოფოს მშენებლობა. ბენდერში გაიხსნა სამშობიარო სახლი. კიშინიოვში დამთავრდა საბავშვო ბაგის მშენებლობა, შენდება ბავშვთა საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის კორპუსები. ახალი სამკურნალო ქალაქები იქმნება უნგენში, ბოლოტინოში, ტირნოვოსა და მოლდავეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

ახლა მოლდავეთის ყოველ სოფელშია სამედიცინო დაწესებულება, სადაც მუშაობს თერმომეტი ათასი ექიმი, ფერშალი, მედიცინის დ. ჩუდნოვოს ექიმთა გამოცდილებისამებრ რესპუბლიკის სოფლებში ფართოდ ხორციელდება მოსახლეობის პროფილაქტიკური შემოწმება. სოფლის ექიმებს დახმარებას უწევენ კიშინოვის სამედიცინო ინსტიტუტისა და ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერები.

უკრაინის მცირე მდინარეებზე

კიევი, 7 მაისი. (საკდესი). უკრაინის მცირე მდინარეებზე დადიან საშენი მასალით, ხე-ტყით, პურით, სამრეწველო საწარმოთა პროდუქციითა და სხვა ადგილობრივი საქონლით დატვირთული გემები და კარჭაპები. წელს შარშანდელთან შედარებით ტვირთზიდვის მოცულობა 25 პროცენტით გადიდდა, მგზავრთა გადაყვანა — 11 პროცენტით.

გემების ეკიპაჟებს შორის გაჩაღდა შეჯიბრება ფლოტის უკეთ გამოყენებისათვის, ტვირთების გადაზიდვის ვადის შემცირებისათვის. დესნაზე, სულზე, სტირსა და სხვა მდინარეებზე პირველად ამ ნავიგაციაში ინერგება ბიძგების წესით გემების ტარების პროგრესული მეთოდი.

მცირე მდინარეთა ფლოტს ემატება ახალი თვითმავალი და არათვითმავალი გემები, დიდდება მექანიზმების რაოდენობა დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებზე.

გაზაფხული ყაზახეთის სუბტროპიკებში

სოჭი-კენტი. (სამხრეთ ყაზახეთის ოლქი), 5 მაისი. (საკდესი). ბოსტანდიკის რაიონში აყვავდა ნუში, ალუჩა, ბალი.

ბოსტანდიკის საცდელმა მინდორმა ყირიმიდან და ამიერკავკასიიდან მიიღო ახალი სახეებისა და ჯიშების სუბტროპიკულ მცენარეთა ბევრი თესლი. დაამთავრეს რა თესვა და რგვა, მეცნიერი მუშაკები შეუდგნენ აყვავებული ხეების დამტვერვას ახალი, უფრო ძვირფასი ჰიბრიდული ჯიშების მიღების მიზნით. ჰიბრიდიზაციის საშუალებით შექმნილია ნუშის მთელი რიგი ყინვაგამძლე და საგვიანო ჯიშები, რაც ამის საშუალებას იძლევა, რომ ეს კულტურა რესპუბლიკის უფრო ჩრდილოეთ რაიონებში გავრცელდეს.

ბოსტანდიკის რაიონის კოლმეურნეობებსა და სატყეო მეურნეობებში მთავრდება ხეხილის, კაკალნაყოფიანი და სუბტროპიკული კულტურების რგვა. მთის კოლმეურნეობებს დიდ დახმარებას უწევს ამას წინათ შექმნილი სამხრეთის მტს-ი. უგამის ქედის მთიან ფერდობებზე პირველად გამოჩნდა მძლავრი ტრაქტორები. ისინი ნიადაგს ამუშავებენ ახალი რგვისა და თესვისათვის.

კარიკატურისტების ნაწარმოებთა გამოფენა

ლვოვი, 7 მაისი. (საკდესი). გუშინ აქ გაიხსნა საბჭოთა კარიკატურისტების ნაწარმოებთა მოძრავი გამოფენა, რომელიც მოაწყო სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მხატვრული გამოფენებისა და პანორამების დირექციამ. გამოფენაზე ექსპონირებულია მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, მინსკისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მხატვარ-კარიკატურისტთა ორასამდე ნაწარმოები.

გამოფენა ოც დღეს გასტანს.

ქვანახშირის ამოღების ახალი მოწინავე ტექნოლოგია

ტყიბული, 7 მაისი. (საქდესი). ტყიბულის შახტებში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება გამომუშავებული სივრცის ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით ქვანახშირის ამოღების ახალი მოწინავე ტექნოლოგია. ამ მეთოდის გამოყენებისას სიცარიელე, რომელიც რჩება ქვანახშირის ამოღების შემდეგ, პულპსადენის საშუალებით ივსება ნამსხვრევი ქანით. ჰიდრავლიკური ვსების გამოყენება 4-5-ჯერ ამცირებს ქვანახშირის საექსპლოატაციო დანაკარგს, თავიდან გვაცილებს მძლავრი ფენების თვითანთებას, წმენდს ჰაერს მავნე გაზებისაგან, უზრუნველყოფს სახურავის უფრო უსაშიშრო მართვას.

საბჭოთა კავშირის ქვანახშირის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მუშაკებმა სტალინის სახელობის შახტში შეისწავლეს გამოცდილება ვ. ორჯონიკიძის კომპლექსური ბრიგადისა, რომელმაც წარმატებით დანერგა ჰიდრავლიკური ვსების მეთოდი. ბრიგადის შემადგენლობაში შედიან მნგრეველები, მებიგეები, ამფეთქებლები, მოტორისტები, ელექტროზეინკლები და სხვა პროფესიების მუშები, რომლებმაც კარგად შეისწავლეს ჰიდრომექანიზმები. ბრიგადა ერთდროულად ასრულებს მთელ რიგ საწარმოო ოპერაციებს. ლავის გამაგრებასთან ერთად აქ წარმოებს ამოღებული ქვანახშირის დატვირთვა ტრანსპორტიორზე და საიზოლაციო ტიხრის ამოყვანა, რომ გვირაბში წყალმა ვერ შეაღწიოს. ლავი დროზე და მაღალხარისხოვნად მზადდება ნამსხვრევი ქანის მისაღებად, რაც მინიმუმამდე ამცირებს ამოვსების და აწმენდის სამუშაოთა შეუფარდებლობას, ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ცვლაში მოინგრეს ორი-სამი მეტრი ქვანახშირი ნაცვლად ერთი მეტრისა. ბრიგადამ ციკლურობის გრაფიკით მუშაობისას მიმდინარე წლის ოთხ თვეში დავალების გადაჭარბებით ცხრაას ტონაზე მეტი ქვანახშირი ამოიღო.

ქვანახშირის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი დასაბეჭდად ამზადებს ბროშურას, რომელშიც განზოგადებულ იქნება ვ. ორჯონიკიძის კომპლექსური ბრიგადის გამოცდილება. სტახანოველი მნგრეველის მოწინავე მეთოდები ფართოდ ვრცელდება ტყიბულში. ახლა ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტებში მთელი ქვანახშირის 36 პროცენტს ჰიდრავლიკური ვსების მოწინავე მეთოდის გამოყენებით იღებენ. მეხუთე ხუთწლედის ბოლოსათვის თითქმის მთელ ქვანახშირს ტყიბულის საბადოში ახალი ტექნოლოგიით ამოიღებენ.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებების არჩევნებისათვის მზადება

პეკინი, 7 მაისი. (საკდესი). გაზეთი „გუანმინ-ჟიბაო“ იუწყება, თუ როგორ მიმდინარეობს სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებების არჩევნებისათვის მზადება. დღემდე, ნათქვამია ცნობაში, საარჩევნო კომისიები შექმნილია ჩინეთის 42 პროვინციაში და იმ ქალაქებში, რომლებიც ადმინისტრაციულად გათანაბრებული არიან პროვინციებთან, აგრეთვე მეტწილ მაზრებში და იმ ქალაქებში, რომლებიც ადმინისტრაციულად გათანაბრებული არიან მაზრებთან.

ცნობაში შემდეგ ნათქვამია, რომ პროვინციის საარჩევნო კომისიები დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს დროზე დაეგზავნით მასალები (ამომრჩეველთა სარეგისტრაციო ბლანკები, საარჩევნო მოწმობები და სხვა დოკუმენტები).

გუანდუნის პროვინციის საარჩევნო კომისიამ გამოჰყო 120 კადრის მუშაკი, რომლებიც გაგზავნილი არიან პროვინციის მაზრების მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობის მოსაწყობად. ანალოგიური ღონისძიებანი ხორციელდება სხვა პროვინციებშიც.

გაზეთმა „სინხუაიბაომ“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ სიკანის პროვინციის სახალხო მთავრობამ დაამტკიცა პროვინციის საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობა. კომისიის წევრთა შორის არიან სხვადასხვა ეროვნების — ჩინელების, ი ეროვნების, ტიბეტელების და სხვათა წარმომადგენლები.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

ბუქარესტი, 6 მაისი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია ის უმნიშვნელოვანესი როლი, რომელსაც სოციალიზმის მშენებლობის პირობებში ასრულებს სამომხმარებლო კოოპერაცია ქალაქის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და სოფლის მოსახლეობის სამრეწველო საქონლით მომარაგებაში.

მარტო 1952 წელს მშრომელმა გლეხობამ კოოპერაციული მაღაზიების ფართო ქსელით მიიღო 6 მილიარდი ლეის სამრეწველო საქონელი, ე. ი. 10-ჯერ მეტი, ვიდრე 1948 წელს. სამომხმარებლო კოოპერაციები ამჟამად აერთიანებენ 6 მილიონ წევრს.

სამრეწველო მშენებლობა პოლონეთში

ვარშავა, 7 მაისი. (საკდესი). სახალხო პოლონეთის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს პოლონეთში სამრეწველო საწარმოთა ძველებლობასა და გაფართოებას.

გრძელდება კოსტიუშკოს სახელობის მეტალურგიული ქარხნის გაფართოების სამუშაოები. საბჭოთა კავშირის დახმარების მეოხებით ტექნიკურად ძოძველებული ობიექტების ადგილას ჩნდება თანამედროვე მოწყობილობიანი საამქროები. პროდუქციას უშვებს ორი ახალი სავსებით მექანიზებული ბოძვედი. ამის შედეგად ქარხანაში თუჯის გამოდნობა ერთიოთხად და უფრო მეტად გადიდდა.

ამას წინათ ელერანში საცდელად ამუშავეს პოლონეთის უდიდესი თანამედროვე ქარხანა, რომელიც უშვებს ძვირფას საშენ მასალას — გაზბეტონს.

წლს განმავლობაში ქარხანა იმდენ გაზბეტონს გამოუშვებს, რამდენიც საჭიროა დაახლოებით 13 ათასი ოთახის ასაშენებლად. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ქარხანა უკვე სრული სიმძლავრით იმუშავებს. ელერანის გაზბეტონის ქარხანა აღჭურვილია უახლესი მოწყობილობით. თითქმის მთელი საწარმოო პროცესი მექანიზებულია. ელერანის ქარხნის გაზბეტონი მსუბუქია, კარგად მუშავდება, როგორც საიზოლაციო მასალა აგურს სჯობია და ნაკლებად ბგერგამტარია, ქარხანა უმთავრესად გამოუშვებს კედლის ასაშენებელ ფილებს, აგრეთვე ფოლადისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების ამოსავსებ მასალას. გარდა ამ ელერანის ქარხნისა, პოლონეთში შენდება კიდევ გაზბეტონის სამი საწარმო.

ლოძში მთავრდება აგება და გაწყობა ახალი ქარხნისა, რომელიც გამოუშვებს ცენტრალური გათბობის ქვაბებსა და რადიატორებს. ამ ქარხნის შენება სულ რვა თვის წინათ დაიწყო.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ფხენიანი, 5 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა რაიონში წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები. როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა საგენტო იუწყება, კანგონის პროვინციის გლეხებმა რესპუბლიკაში პირველებმა დაამთავრეს 30 აპრილისათვის საგაზაფხულო თესვა, ამასთან ათ დღით ადრე, ვიდრე შარშან.

სამხრეთ ფხენანის პროვინციის ტეგონის, ონჩხონის, სუკჩხონის, ოლჯუს და მუნდოკის გლეხებმა 25 აპრილამდე დაამთავრეს ჩუმიძის თესვა.

თესვა წარმატებით მიმდინარეობს ჩრდილოეთ და სამხრეთ ხამგენის პროვინციებში და სხვა მაზრებსა და რაიონებში.

საღლეისო თემაზე

პედაგოგიკურ მეცნიერებათა პროპაგანდა

ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდა საბჭოთა სკოლის პასუხსაგები და საპატიო მოვალეობაა. სკოლა მოწოდებულია შეაიარაღოს მოსწავლე ახალგაზრდობა ცოდნით, განუვითაროს მას პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობა, შთაუნერგოს პრინციპულობა და საქმის სიყვარული. ამ ამოცანების პირნათლად შესრულების ერთ-ერთი მთავარი პირობაა პედაგოგებისა და მშობლების, სკოლისა და ოჯახის მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა.

კომუნიზმის აქტიურ მშენებელთა აღზრდა მოითხოვს მშობელთა პედაგოგიზაციას, მათ შორის პედაგოგიკურ მეცნიერებათა პროპაგანდას. ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა რადიოთი გადაცემულმა ა. ს. მაკარენკოს ლექციებმა „მშობელთა ავტორიტეტის შესახებ“, „ოჯახური აღზრდის საერთო პირობები“ და სხვუნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტი რამდენადმე უგულებელყოფს პედაგოგიკურ მეცნიერებათა პროპაგანდას მშობლებისათვის. მის პროგრამებში იშვიათად ვხვდებით ასეთი ხასიათის გადაცემებს და ისიც მხოლოდ ბავშვთა ფიზიკურ აღზრდას შეეხება. გაზეთების „სახალხო განათლებისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე ნაკლებად ქვეყნდება ლექციები და კონსულტაციები მშობელთა დასახმარებლად. საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება ჯერ-ოვნად ვერ ეწევა პედაგოგიკურ მეცნიერებათა პროპაგანდას მშრომელთა ფართო მასებში. მაგალითად, ამ საზოგადოების აჭარის განყოფილებას მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არცერთი ლექცია არ მოუწყვია პედაგოგიკურ თემებზე, ხოლო სამხრეთ ოსეთის განყოფილებამ მხოლოდ ორი ლექცია მოაწყო.

მშობელთა პედაგოგიზაციის დარგში ნაყოფიერი მუშაობა შეუძლიათ მშობელთა უნივერსიტეტებს, თუ კი მათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და განათლების განყოფილებები სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას გაუწევენ. თბილისს მშობელთა უნივერსიტეტს ჯერ კიდევ ყველა რაიონში არა აქვს ფილიალი, განათლების განყოფილებები ვერ უზრუნველყოფენ მსმენელთა კონტინგენტის შენარჩუნებას. სასურველია უნივერსიტეტში წაკითხული ზოგიერთი ლექცია ცალკე ბროშურად გამოიცეს.

საქართველოს გამომცემლობებმა თავიანთ გეგმებში უნდა გაითვალისწინონ და გამოსცენ წიგნები და ბროშურები, რომლებშიც ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით იქნება მოცემული ბავშვთა სწორი აღზრდის მეთოდები და რომლებიც მშობელთა ყოველდღიურ საკითხავ წიგნებად გადაიქცევა.

განათლებისა და კომკავშირული ორგანოები, საბჭოთა ორგანიზაციები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები უნდა დაინტერესდნენ პედაგოგიკურ მეცნიერებათა პროპაგანდის საქმით.

ოჯახი და სკოლა

თბილისის მესამე ქალთა საშუალო სკოლის ვრცელ დარბაზში შეიკრიბნენ მოსწავლეთა მშობლები. მათ აქ მოისმინეს ბიოლოგიის მასწავლებლის ვ. აბაშიძის მოხსენება თემაზე „ოჯახის როლი მოსწავლეთა პოლიტექნიკურ სწავლებაში“. მომხსენებელმა ილაპარაკა საშუალო სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების არსზე, საბჭოთა ოჯახის მონაწილეობაზე მის განხორციელებაში.

ასეთი ლექციები და მოხსენებანი ხშირად იმართება ამ სკოლაში.

პარტიული ცხოვრება

უფერული მოხსენება და ზერელე კამათი

პარტბიუროს მდივანმა ე. ქუთათელაძემ ათ წუთში დაამთავრა საანგარიშო მოხსენება. იგი დაკმაყოფილდა პარტიული და სამეურნეო საქმიანობის ფაქტების უბრალო ჩამოთვლით. მაგალითად, მოხსენების იმ ნაწილში, რომელიც დასათაურებულია „პარტიული მუშაობა საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების საქმეში“, აღნიშნული იყო, რომ „ქუთაისის წყალკანალტრესტის მიერ გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია შრომის სუსტი დისციპლინით, ადმინისტრაციისა და პარტიული ორგანიზაციის (?) მუშების სანარდო სისტემაზე გადაყვანისათვის ნაკლები ზრუნვით“ და ა. შ. მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს პარტიული ორგანიზაციის როლის შესახებ მის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

საანგარიშო მოხსენებაში გვერდი ჰქონდა აავლილი პარტიული დავალებების შესრულების, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის, სოციალისტური შეჯიბრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და სხვა საკითხების. კიდევ მეტი, ე. ქუთათელაძემ კრიტიკის ნაცვლად ზოგიერთი კომუნისტი დაუმსახურებელი ქება-დიდებით შეამკო. მაგალითად, მან აღნიშნა კედლის გაზეთის რედაქტორის ე. ზასეიშვილის კარგი მუშაობა, მაშინ როდესაც იგი ცუდად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას.

უფერულმა მოხსენებამ გავლენა მოახდინა კრების მსვლელობაზე. გამოსული ამხანაგების სიტყვები არ იყო კრიტიკული და თვითკრიტიკული. კომუნისტები ლაპარაკობდნენ მხოლოდ სამეურნეო საკითხებზე და ისიც ზოგადად. გასაკრიტიკებელი კი ბევრია.

წყალკანალტრესტის მოვალეობაა მოამარაგოს ქალაქის მოსახლეობა და ათობით ფაბრიკა-ქარხანა წყლით, მაგრამ ამ საქმეს იგი სუსტად უძღვება.

დიდია წყლის დანაკარგები. მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 12 პროცენტით გაიზარდა წყლის დანაკარგები.

უფერულმა საანგარიშო მოხსენებამ და ზერელე კამათმა გამოხატულება ჰპოვა დადგენილებაში. პარტიული კრების მიერ მიღებული ღონისძიებანი ზოგადია და არავის არაფერს არ ავალებს.

გ. მეფისაშვილი.

კომუნისტთა შენიშვნები

კომუნისტების აქტივობის ვითარებაში ჩაიარა სამტრედიის სავაგონო დეპოს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ.

მომხსენებელმა, პარტბიუროს მდივანმა ა. ზაქარეიშვილმა და კამათში მონაწილე კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ ამ უკანასკნელ ნახევრში დეპომ ერთგვარად გაუუმჯობესა მუშაობა, მაგრამ აქ ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინა და ვაგონების შეკეთების ხარისხი. მუშაობაში წუნს უშვებენ კომუნისტები მ. კოპალეიშვილი, ს. ბახტაძე, ბ. ინჯგია, ს. კაჭარავა და სხვები. როგორც კომუნისტებმა განაცხადეს, სამეურნეო მუშაობაში არსებული ეს ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ პარტბიუროო საკმაოდ არ ხელმძღვანელობს კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. იყო პოლიტსკოლებისა და წრეების არასწორად დაკომპლექტების შემთხვევები.

კრებაზე მკაცრად გააკრიტიკეს ამერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილება და გზის სავაგონო სამსახური ხელმძღვანელობა იმისათვის, რომ ისინი უყურადღებოდ ეკიდებიან კომუნისტების საქმიან წინადადებებს. სამი თვეა დეპოში ვაგონების შეკეთების ქვეშ წარმოებს. ეს აუარესებს შეკეთების ხარისხს. ამ არანორმალური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად რკინიგზის სამმართველო და პოლიტგანყოფილება ზომებს არ იღებენ. კამათში გამოსულმა კომუნისტებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ რკინიგზის პოლიტგანყოფილებიდან ამხანაგები ხშირად ჩამოდიან მასალებისა და სხვადასხვა ცნობების შესაგროვებლად, მაგრამ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში პარტიულ ორგანიზაციას საჭირო დახმარებას არ უწევენ.

კრებამ აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა და დელეგატები რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე დასასწრებად.

ვ. კოპალეიშვილი.

სამეცნიერო კონფერენცია

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ი. ბ. სტალინის გენიალური შრომისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის კ. დადიანის მოხსენება „ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მარქსისტული მეცნიერების განვითარების უმაღლესი ეტაპია“, უფროსი მასწავლებლის ნ. ჭავჭავაძისა—„საზოგადოებრივ მეცნიერებათა კანონების ხასიათის შესახებ“.

მოხსენება „საბჭოთა მუსიკის პერსპექტივები ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მიხედვით“ გააკეთა დოცენტმა პ. ხუჭუამ.

სილნაღის რაიონი. სოფელ ბოდბეს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა. სურათზე: მეფუტკრე პ. ნონიკაშვილი ამოწმებს სკას.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ძვირფასი ძსოვილები მეაბრეშუმეებს

მეაბრეშუმეთა წახალისების მიზნით „ცეკავშირმა“ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მათთვის მისაყიდად გამოჰყო 18.650 ათასი მანეთის სხვადასხვა ძვირფასი ქსოვილი, მათ შორის 1.850 ათასი მანეთის წმინდა აბრეშუმის ნაწარმი, 9.100 ათასი მანეთის ხელოვნური აბრეშუმის, ხოლო 7 მილიონი მანეთის შტაპელის ტილო.

მეაბრეშუმეები დიდი რაოდენობით მიიღებენ ეპონსეს, ტრიკოტინ-ბუკლეს, კრეპ-სატინს, კრეპ-ჟორჟეტს, კრეპდეშინს, მოსკრეპს, მამაკაცის ძვირფას სპერანგეებს, ხავერდს, აგრეთვე დიდი ასორტიმენტის ბამბეულის ქსოვილს.

სუბტროპიკული ხურმისა და გამგუკის ახალი პლანტაციები

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა გააშენეს 16 ჰექტარი სუბტროპიკული ხურმის პლანტაცია, გეგმა კი 15 ჰექტარს ითვალისწინებდა.

სოფელ ოფურჩხეთის ბერიას სახელობის და რაიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობებმა გააშენეს ორორი ჰექტარი სუბტროპიკული ხურმა. ხურმის გაშენების გეგმები შეასრულეს გუმათის, პატრიკეთის და ოფშკვითის კოლმეურნეობებმა.

რაიონში 100 პროცენტით შესრულდა ბამბუკის გაშენების გეგმაც. ახლად გაშენდა 5 ჰექტარი. ბამბუკის გაშენების დავალება ვადამდე შეასრულეს პატრიკეთის, ტყაჩირისა და გეგუთის კოლმეურნეობებმა.

გაზეთი „სიმართლე“.

ფედეტონის მაგიერ

ქრონიკული ბიუროკრატია

ამგვავი მიტროფანესი...

მიტროფანე ცდილობდა სიტყვების მთელი მარაგი მოხერხებულად, თანმიმდევრულად გამოეყენებინა:

— გესმის, ჩემი სული ხარ, ნინო! უტკბილესო ოცნებავ! დამიჯერე...

ქალიშვილმა ეჭვიანად წაილაპარაკა:

— რაღაც არა მჯერა...

— შენი გულისთვის, — ჰაბუკის ხმაში უკვე მძიმე, ტრაგიკული სევდა იგრძნობოდა, — ქვას დავდებავ, ო, უტკბილესო ოცნებავ, გულის მესაიდუმლევ! უარი რომ მითხრა, მაშინ აღარ ვიცი რას ვიზამ!..

მალე რომეო — მიტროფანემ მიზანს მიაღწია. პურმარილით სავსე ქორწილზე ნათესავები, მეზობლები მიიპატიჟეს. გათენებამდე გრძელდებოდა ლხინი, დაუსრულებელი ბაგაბუგი გაჰქონდა დოლს, ტკბილად ეღუერტულებდა სალამურა... შეზარხოშებულმა სიძემ ქუდი ორი თითით უკან გადიწია და მეგობრების გასაგონად სატრფოს უმღერა: თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ...

გავიდა თვეები...

ერთ დღეს მეზობლები გაოცებული დარჩნენ: ისინი სახალხო სასამართლოში დაიბარეს. საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა წარბშეკრული, გულჩათხრობილი მიტროფანე. მოსამართლემ ჰკითხა:

— მაინც რა არის თქვენი განქორწინების მიზეზი?

მოპასუხე ერთი წუთით შეჩერდა, დარბაზში მსხდომთ გადახედა და აბლუყუნდა: — მე თავიდანვე ნინო არ მყვარებია, ჰო, ერთი სიტყვით, რაც მოხდა-მოხდა, ის უკვე დაკარგული სიყვარულია!..

ასეთ პასუხზე კაცს ძალუნებურად გაახსენდება თქმულება: უსინდისოს უთხრეს, ფურთხის ღირსი ხარო, მან კი უპასუხა, შემომაფურთხე რა, მეც კალთას ავიწევ და ჩამოვიწმენდო.

— პატარა ბიჭუნაო რას უპირებთ?— შეეკითხა მოსამართლე.

— იცით როგორ მიყვარს ჩემი თმაქოჩორა ბიჭუნა? გაყრის შემდეგ ჩიტის რძესაც არ მოვაკლებ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ...

მიუხედავად მიტროფანეს ჰუმანური სიტყვებისა, 1952 წლის 12 აპრილს თბილისის ბერიას რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ (თავმჯდომარე ლ. კოხრეიძე) მიტროფანეს — საკუთარი შვილის სიმონ მიტროფანეს-ძე კვირკვიას აღსაზრდელად შემოსავლის ერთი მეოთხედის გადახდა მიუსაჯა.

აბა მიტროფანეს მეტი სხვა ვინ მოიფიქრებდა ასეთ ზნედაცემულობას: როგორც კი სოფელ არხილოს (წითელწყაროს რაიონი) კოლმეურნეობის ბუხჰალტერიაში აღმასრულებელი ფურცელი № 2/355 მივიდა, კოლმეურნეობის ვეტერინარი მიტროფანე კვირკვია უკვე სამუშაოდან განთავისუფლებული აღმოჩნდა, გაუჩინარდა... დიდი ძებნის შემდეგ მის კვალს მიაგნეს, თბილისში ხომასურიძის ქუჩა № 3 სახლში მივიდნენ, მაგრამ ამაოდ — მიტროფანეს ღვიძლი და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა:

— ამ წუთში წავიდა, სად — არ ვიცი...

პატარა ბიჭუნა სამონს უდროოდ და უგზოუკვლოდ დაკარგული მამის ძებნა დღემდე არ შეუწყვეტია. აღმასრულებელი ფურცელი ხან ზუგდიდშია, ხან თბილისში, ხან წითელწყაროში... ამდენ გადაგზავნა-გადმოგზავნაში ფურცელი დაიხა და დაიკარგა.

მიტროფანეს კანონიერმა (უკანონოს ვინ ჩამოთვლის) მეუღლემ ნინო ჯანყარაშვილმა ვის არ მიმართა: საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს, რესპუბლიკის პროკურორს, მოსამართლეს თუ აღმასრულებელს — არ იქნა და არ მოიძებნა ალიმენტის ურჩი გადამხდელი, საბჭოთა მოქალაქის წოდების დამამცირებელი.

განცხადებათა პასუხად გამოგზავნილ ბიუროკრატიულ, გულცივ ქაღალდებს ამ დღეებში კიდევ ერთი ფურცელი მიემატა. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურამ (პროკურორი ამხ. ბუაჩიძე) მილიციის განყოფილების უფროსისა და განმცხადებლის მისამართით ასეთი „დამამშვიდებელი“ პასუხი გამოგზავნა:

„ამასთანავე ერთად გეგზავნებათ მოქ. ჯანყარაშვილის განცხადება და აღმასრულებელ ფურცელს ალიმენტის შესახებ მოქ. კვირკვიელის (?!) მიმართ, რომელიც თავს არიდებს ალიმენტის გადახდას. ამისათვის გთხოვთ მ. ა. კვირკვიელი (??!!) როგორც ალიმენტის გადახდის თავამრიდებელი მიეცით სისხ. სამ. 3/გებაში. შედეგზე აცნობეთ განმცხადებელ“ (ტექსტს უცვლელად ვტოვებთ).

პატარა სიმონმა ამ „პასუხიდან“ ვერაფერი გაიგო. ერთს კი მიხვდა და გაოცებით წამოიძახა:

— ვაი, სირცხვილო! მამიკოს გვარიც კი გამოუცვლია!

აბა, რა იცოდა პატარამ, რომ „მამიკოს“ გვარი თვითონ კი არა, ფარატინა ქაღალდის მოსიყვარულე გულცივმა ადამიანებმა შეუცვალეს.

ჩვენ არ ვიცით, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება მიწერმოწერა აღმასრულებელი ფურცლის № 2/355 შესახებ. სიმონი კეთილშობილურ მტკიცე კითხვას უყენებს სასამართლო-პროკურატურის და მილიციის ორგანოების მუშაკებს: მაინც სად დაიკარგა „სიყვარულის“ გმირი, უღირსი მამა მიტროფანე? რატომ არ ეწევა იგი პატიოსან, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას?

პატარა ბიჭუნა სიმონი მშვიდად და რწმენით უცდის პასუხს. მან კარგად იცის, რომ დამნაშავის გზა მოკლეა. არც მისი მფარველები დარჩებიან დაუსჯელნი. გულცივი მამისაგან დავიწყებულ ბიჭუნას ერთი წუთითაც არ ეპარება ეჭვი, რომ მის მოქალაქეობრივ უფლებებს საამედოდ დაიცავს საბჭოთა სოციალისტური კანონიერება.

კ. გოცირიძე.

სოფლის სურათები

წერილი პირველი

1

ქარგა ხნის წვიმების შემდეგ გამოანათა მზემ, და ირგვლივ ყველაფერი გაბრწყინდა, გაიხარა ბუნებამ.

გადათეთრდა ტყემლები, ვარდისფრად თრთიან ატმის ყვავილები. წვიმებით გახარებულმა ჯეჯილმა უცებ აიყარა ტანი და სიხშირისაგან ლურჯად ბიბინებს... „იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო!“, — მღერის გული, როდესაც გასცქერი ამწვანებულ ალაზნის ველს.

ამხედრებულან მთის მდინარეები — ავანისხევი, ბურსა, დურუჯი, ჩელთი, ინწობა. უკანასკნელი თეთრი ღრუბლები დაჰფარფატებენ ყვარლის თავზე წამომდგარ მთებს — სამალეს, ზურგისძვალას, ნარიანის სერს, კუნტრუშის გორას, ჩადუნის ქედს —

„სამშობლო მთებო, თქვენნი შვილი
განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ
მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად,
ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა
შეუღლებული!“.

ასე შეჰხაროდა ილია ჭავჭავაძე ამ მთებს.

ახმაურდა შარაგზები...

ყანებში და ვენახებში შრომობს ხალხი. სახნავებში გასულან გუთნისდედები და აყვავებულ მამულში შრომის ფერხული გაუმართავთ.

სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში შესვლისას თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ლენინისა და სტალინის პორტრეტებით შემკობილი წითელი დროშა. ეს არის გარდამავალი დროშა, ყვარლის რაიონში სოციალისტური შეჯიბრებისათვის დაწესებული. მას გარდამავალი ეწოდება, მაგრამ სინამდვილეში, დღიდან მისი დაწესებისა, სულ აქ, ამ კაბინეტში არის გამოკრული. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ვასილ ცისკარიშვილმა უნარიანი ხელმძღვანელობით და თავდადებული შრომით მოაპოვებინა იგი კოლმეურნეებს. მას ყვარლის რაიონის მოწინავე კოლმეურნეთა კრებაზე საზეიმოდ გადასცეს ეს დროშა.

როდესაც ვ. ცისკარიშვილმა დროშის ტარს თავისი მარჯვენა ჩასჭიდა, ამ ბრგე, მკერდგანიერმა ვაჟკაცმა ღიმილით შეხედა დროშას და უბრალოდ, მეგობრულად, მაგრამ ამავე დროს მტკიცედ მიმართა რაიონის სხვა კოლმეურნეობების წარმომადგენლებს:

— მოგიწოდებთ ისე კარგად იმუშაოთ, ისეთი წარმატებები მოიპოვოთ, რომ ეს დროშა წაგერთმიოთ ჩვენთვის. ოღონდ კარგად იცოდეთ, დიდი ბრძოლა დაგჭირდებათ... ჩვენ შევეცდებით არასგზით არ დავთმოთ!

მას შემდეგ ათი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბრძოლა არ შენელებულა, მაგრამ ეს დროშა ისევ აქ არის, შილდაში, კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში.

იქნებ წელს შეძლებს ვინმე წართმევას?!

გადავხედოთ ალაზნის ველზე გადაშლილ ჯეჯილსა და ვენახებს.

ეს პური, საგაზაფხულო ჯეჯილად რომ აბიბინებულა, შარშან შემოდგომაზე დათესეს. მათ მთელ რაიონში ყველა კოლმეურნეობაზე ადრე მოათავეს თესვა. შვიდი ნოემბერი ახლოვდებოდა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXV წლისთავი. ზაფხულიდან გამოყოლილი გაჭიანურებული გვალვები იდგა. ფარცხვის დროს მსხვილი, გამხმარი ბელტები არ იშლებოდა. დიდი ხეებისაგან განსაკუთრებული ფარცხები დაამზადეს და იმით დაამტვრიეს ბელტები. ცისკარიშვილს გული ეთანალრებოდა, გვალვის დროს დათესილი ხორბალი ვაითუ არ ამოვიდესო, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. პური დათესეს კომბინირებული სათესით, რომელიც მინერალურ სასუქსა და ხორბალს ერთსა და იმავე დროს აბნევს ხნულში.

დეკემბერშიც მზიანი და თბილი დარები იდგა. ჯეჯილმა ოდნავ ამოყო თავი. მიწა გალურჯდა. ცისკარიშვილმა მაშინვე შემოიარა ნათესები და შეამჩნია, რომ ზოგიერთ ადგილზე ჯეჯილი არ ამოსულიყო. სამოცი ჰექტარი ფართობი ხელახლა გამოთესა. მარტში კიდევ შეიტანა ჯეჯილებში სასუქი, აპრილის წვიმებმა ნიადაგი მთლად გაახარა, მერე მზემაც დაჰკრა, და ახლა ათასოც ჰექტარზე თანაბრად ბიბინებს ჯეჯილი.

სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლიკოლოზიშვილი სამოცდაორი წლის კაცია. თექვსმეტი წელიწადი მრიგადირად მუშაობს, და რაც თავი ახსოვს, ყანაში ტრიალებს.

— ნიკოლოზიშვილი ხვნა-თესვის გამოჩენილი მებრძოლია! — ასე ამბობენ შილდაში მის შესახებ. ასეც არის. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ ნიკოლოზიშვილი იბრძვის აგროტექნიკის უკანასკნელი სიტყვით. ამით აღწევს ის მაღალ მოსავალს. კარგად ახსოვს ნიკოს ის დრო, როდესაც ბუნებას მინდობილი მუშაობდნენ. ჰექტარზე ექვს ან რვა ცენტნერს თუ მიიღებდნენ, ბედნიერად თვლიდნენ თავს. „კარგი მოსავალი მივიღეთო“, ამბობდნენ ისინი. სულ სხვა არის ახლა. ნიკოლოზიშვილს თავის ბრიგადაში ყოველწლიურად ჰექტარზე ოცი ცენტნერი პური მოჰყავს.

როგორ გამოიყურება ასოცი ჰექტარი ვენახი, რომლიდანაც ოთხმოცდახუთი ჰექტარი მსხმოიარეა!?

ცისკარიშვილს რომ ჰკითხოთ, რამდენი ძირი ვაზი გაქვთ კოლმეურნეობის ვენახებშიო, შეიძლება ზუსტად გითხრათ, რადგან ყოველ ვაზს იცნობს. იცის, რომ თითო ჰექტარზე სამოათას სამასი ძირი ხარობს, და თუ რომელიმე ვაზს არ გაუხარია, განა შეიძლება სამაგიეროთი არ შეავსოს?

მთელი ვენახი მავთულზე აქვთ აკრული. იციან, რომ ჭიგო ჩაგრავს მტევნებს, მავთულზე გაშლილი ვაზი კი თავისუფლად და ლაღად ხარობს.

კუიბიშეველები არაფერს აკლებენ თავიანთ ვენახებს — შემოდგომაზე მინერალური სასუქი შეიტანეს და რიგებს შორის ღრმად მოხნეს, მერე ვაზების ძირები გამობარეს, მიწა მიაყარეს, რომ ზამთრის ყინვამ ზიანი არ მიაყენოს. მთელი ზამთარი ასე თბილად იყო ვენახი, გაზაფხულზე ისევ შეიტანეს ვენახებში მინერალური და ორგანული სასუქები და დაიწყეს ვენახების გადახვნა. თებერვლიდან ვაზის გასხვლას შეუდგნენ. აპრილის თბილმა და მზიანმა ამინდებმა ვაზის რქის კვირტებიდან ყლორტები ამოყარა. რქის ამონაყარები ისე ნაზია, ნიავმა რომ დაუბეროს, გადატეხავს.

წინათ ვაზს ერთ ან ორ რქას უტოვებდნენ, ახლა სამსა და ოთხს უტოვებენ, ტვირთავენ ვაზს, რომ რაც შეიძლება მეტი მოსავალი მიიღონ. მაგრამ ამას ერთი პირობის შესრულება სჭირდება. ნიადაგი გამდიდრებული უნდა იყოს, რომ ვაზმა ეს დატვირთვა აიტანოს. კუიბიშეველებს ნიადაგი მდიდრად აქვთ შენახული.

კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა: ოთხმოცდაექვსი ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს სამოცდათხუთმეტი ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი. სოციალისტური შრომის გმირმა იორამ უსტიაშვილმა ვალდებულება აიღო რგოლის რვა ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს ოთხმოცი ცენტნერი ყურძენი, ხოლო მისთვის მიჩენილ ერთ ჰექტარ ვენახზე უზრუნველყოს ასორმოცდათი ცენტნერი ყურძნის მოღება.

2

„იმ ვეებერთელა სოფილში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი“, — ასე იწყება ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“.

სწორედ ასევე მინდა დავიწყო ამბავი დღევანდელი „ოთარაანთ ქვრივისა“, რომელსაც ალაზნის ველზე შევხვდი. იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც შილდა ჰქვია, ყველა იცნობს ქალია ვაშაძეს... და განა მარტო შილდაში, მთელ ყვარლის რაიონში იცნობენ მას.

ისიც ქვრივია. მასაც ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, სიყვარულითა და შრომის ოფლით გაზრდილი.

კარგა ხანია ქმარი მოუკვდა. სახლი თვითონ გამართა, ვაშლის, ლეღვის, ბროწეულის და ქლიავის ნერგები თვითონ ჩაყარა და ეზო-კარი ხეხილით დაამშვენა. ვენახის ხეივანი და საჩრდილობელიც მოაწყო. მწვანით მოსილი ეზო მუდამ სუფთად აქვს. კოლმეურნე ქალი პატიოსანი შრომით ცხოვრობდა შვილთან ერთად, მაგრამ დაიწყო სამამული ომი. სამშობლომ მის ვაჟსაც დაუძახა. კოლმეურნე ქალმა, ქართველმა დედამ, წარბშეუხრელად უთხრა მას:

— შვილო ვასილ, სამშობლოს ახლა შენი მარჯვენა სჭირდება, მტრის წინააღმდეგ მამაშენსაც უბრძოლია, არც შენ შერცხვენო თავი!

მეორე დღეს სოფლის ახალგაზრდები ფრონტისაკენ გაეშურნენ. კოლმეურნეობა უმთავრესად ქალებისა და ხანში შესული მამაკაცების ამარა დარჩა. ყანა კი მოსამკალი იყო. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ქალიას თხოვნით მიმართა:

— ბრიგადირობა უნდა იკისრო!

ქალია ვაშაძე სათავეში ჩაუდგა ბრიგადას...

„თავისი ხელით ჰბარავს, სთოხნის, ჰმარგლის, სთესს და ჰკრეფს ხოლმე. თუმცა სოფლელნი ბევრს იძახდნენ: ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხი, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი არას დაგიდევდათ.

— თუ არ გაუგონიათ ეხლა გაიგონონ... რა ვუყოთ რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითომ ჩემზე წინ რით არის? იმასაც ორი ხელი და ფეხი აქვს და მეცაო!“

ასე ამბობდა ოთარაანთ ქვრივი. ასევე ფიქრობდა ქალია ვაშაძეც, როდესაც ნამგლით ხელში ყანაში პირველად გავიდა. საკოლმეურნეო მინდვრებში ქალია დღესაც არც ერთ მამაკაცს არ ჩამოუვარდება. იმ დღიდან მოყოლებული იგი ბრიგადირად მუშაობს.

ალაზნის ბარაქიან ველზე მისი ბრიგადა — ოთხმოცი ქალი და კაცი ისე თავდადებულად შრომობს, რომ შილდაში, ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, შეიძლება ითქვას, ტოლი არა ჰყავთ.

დიდი ჯაფა და გაჭირვება გადაუტანია ქალიას სამამულო ომის დროს, მაგრამ ამას ვერავინ შეამჩნევდა. მუდამ მხნედ გამოიყურებოდა. საღამოობით, როდესაც დღიური შრომისაგან დაღლილი შინ ბრუნდებოდა, ფიქრებს მიეცემოდა. შინ ის მხოლოდ დედა იყო, შვილზე ფიქრობდა, ქსოვდა ხელთათმანებს, წინდებს არა მარტო თავისი ვაჟისათვის, არამედ მისი მებრძოლი ამხანაგებისათვისაც.

შუაღამე იცქირებოდა ფანჯრებში, ბუხარში ნაკვერჩხლები იფერფლებოდა, მაგრამ ქალია მაინც არ იძინებდა. — განა ჩემს ვაჟს ახლა სძინავს, რომ მე დავიძინო? ის იბრძვის, მე ვიშრომო მაინც! — ამბობდა ქალია და განაგრძობდა შრომას.

როდესაც ქალია ტკბილში ჩურჩხელებს ავლებდა, გულში სულ იმას ფიქრობდა — ამას ჩემს ვაჟს გავუგზავნიო. და ის მართლაც გზავნიდა ფრონტზე საბჭოთა მებრძოლებისათვის ჩურჩხელებს და ჩაშაქრულ ხილს.

„ოთარაანთ ქვრივი“ ეხმარებოდა გაჭირვებულებს და ამავე დროს ჰკიცხავდა კიდეც მათ, იშრომეთო, მარჯვენა გაანძრიეთო. ასეთია ქალია ვაშაძეც. ომის დროს უყურადღებოდ არ სტოვებდა ფრონტელთა ოჯახებს, წვრილშვილის პატრონებს, ოღონდ ზანტებსა და უქნარებს ახლოს არ იკარებდა, ენამწარედ იტყოდა ხოლმე:

— სხვის ხელში შემყურეს ჭირს მივცევ. ხელი გაანძრიონ და ოჯახი აეკვსებათო!

აზრიანად და შეგნებულად უცქერის საერთო საქმეს. შეჯიბრებაში გამოწვეულ ბრიგადებსაც ეხმარება. ჩაუვლის, გადახედავს მათ ნახნავსა თუ ნათესს, რამე არ მოეწონება, ან ცუდს შეამჩნევს, დაურიდებლად ეტყვის:

— შენს ჯეჯილს გამარგვლა სჭირდება... სასუქი არ შეგიტანია. დროზე, ადამიანო, თორემ მერე გვიან იქნება!

ამ ორი კვირის წინათ ჭრელო ხელაუტაშვილის ბრიგადას ბარდალას გლეჯაში დაეხმარა. ეს სარეველა ბალახი ხელაუტაშვილის ჯეჯილს ძალიან ჰქონდა მორეული.

ბრიგადაში საქმეს რა გამოლევს, საშუშაო ჩვენც გვქონდა, მაგრამ ჭრელოს რომ არ მოვხმარებოდით, ყანა გაუფუჭდებოდა. ეს კი მთელი ჩვენი კოლმეურნეობისათვის იქნებოდა საზიანო!

მისი ვაჟი ფრონტიდან არ დაბრუნებულა. მაგრამ ქალია, ოთარაანთ ქვრივისაგან განსხვავებით, სასოწარკვეთილებას არ მიეცა. გაკაჟდა. სევდა გულში ჩაიკლა. მას შემდეგ ეს სამოცი წლის კოლმეურნე ქალი, კომუნისტური პარტიის წევრი, თანასოფლელებისათვის მზრუნველ დედად გადაიქცა.

ამას წინათ მისი ბრიგადის წევრს თამარ უტურაშვილს სახლის კიდელი დაერღვა. სახლს შეაკეთებს, მაგრამ შეკეთებას დრო სჭირდება. ქალიამ ჯერ კარგად გაიცხა უტურაშვილი, სახლი აქამდე როგორ მიიყვანეო, მერე მისი ორი მოსწავლე ბავშვიანად თავისთან შეიკეთლა, ჩემთან იცხოვრეთ, ვიდრე კედელს შეაკეთებო!

სასიამოვნო სანახავია ვაშაძის ბრიგადა ველზე არა მარტო შრომის, არამედ დასვენების დროსაც. ბრიგადაში

პროფკავშირები და მშრომელთა დასვენება

მრავალ დამსვენებელს მოელიან საქართველოს კურორტები, რომლებიც თავიანთი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით განთქმული არიან მთელ საბჭოთა კავშირში. ათასობით მშრომელი დაისვენებს წელს პროფკავშირების ჯანმრთელობის კერებში.

სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული საკავშირო პროფსაბჭოს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების სეზონისათვის მოსამზადებლად. წელს პროფკავშირების რესპუბლიკური სამკურნალო დაწესებულებები გაატარებენ 55 ათასზე მეტ დამსვენებელს.

სათანადო ღონისძიებები ხორციელდება კურორტების კეთილმოწყობისა და სანატორიუმების კორპუსების კაპიტალური შეკეთება-მშენებლობისათვის. განსაკუთრებით დიდი სახსრები ხმარდება წყალტუბოს, ბორჯომ-ლიკანის, ცემის და სხვა კურორტების კეთილმოწყობას. მაგრამ მდგომარეობა მაინც ყველგან დამაკმაყოფილებელი არ არის.

წყალტუბოს № 1 სანატორიუმის კორპუსების რემონტი ნელი ტემპით მიმდინარეობს, სანატორიუმის ტერიტორია შემოუკავებელია, უზრუნველყოფილი არ არის ელექტროგანათებით და წყლით. ასეთივე მდგომარეობაა თებერდის, ცემისა და წაღვერის კურორტებზე, პროფკავშირების გუდაუთის სანატორიუმებში.

საერთოდ, ქლუხორისა და ბორჯომის ჯგუფის კურორტების კეთილმოწყობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. კერძოდ, ამ კურორტებზე დასახლებისა და მშენებლობის საქმე დღემდე მოუგვარებელია.

გასულ წელს პროფკავშირების აბასთუმნის, ბორჯომ-ლიკანის, წყალტუბოს და გაგრის ჩელუსკინელების სახელობის სანატორიუმებში ჯეროვან სიმაღლეზე არ იდგა მკურნალობისა და კვების საქმე. საჭირო ყურადღება არ ექცეოდა კომპლექსურ და ფიზკულტურულ მკურნალობას. უფრო მეტიც. დღემდე მოუგვარებელია საკურნალო კვების საქმე. „კურორტვაჭრობა“ პროფკავშირების ჯანმრთელობის კერებს სანახევროდაც ვერ ამარაგებს სავალდებულო ასორტიმენტის კვების პროდუქტებით — ხორცით, თევზეულით, კვერცხით, ბოსტნეულითა და მწვანილით. ეს კი აქვეითებს მკურნალობის ხარისხს და იწვევს ავადმყოფთა საჩივრებს. მიმდინარე სეზონში მსგავსი შემთხვევები აღარ უნდა გამეორდეს.

საკურორტო სეზონისათვის მზადყოფნას, ორგანიზებულად ჩატარებას მიეძღვნა ამას წინათ პროფკავშირების ჯანმრთელობის კერების მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური თათბირი.

მომხსენებელმა — საკავშირო პროფსაბჭოს კურორტების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საქართველოს სამმართველოს უფროსმა ამხ. კ. კობახიძემ და კამათში გამოსულებმა, მათ შორის საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. სტურუამ ილაპარაკეს საკურორტო სეზონისათვის მზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე და მათი გამოსწორების ღონისძიებებზე.

კურორტ ჯავაში

საუკეთესო ჰაერი, მინერალური წყალი, ტყეებით დაფარული თვალწარმტაცი მთები — ეს საუცხოო ბუნებრივი პირობები სულ უფრო ფართოდ ცნობილს ხდიან კურორტ ჯავას.

აქ ჩამოსულმა მშრომელმა შინაარსიანად, კულტურულად, ჯანსაღად რომ დაისვენოს, საჭიროა საკურორტო სეზონს ყოველმხრივ მომზადებული შეეხვედეთ. წელს აქ საკურორტო სეზონისათვის მზადება შედარებით უკეთესად დაიწყო. მნიშვნელოვანი რაოდენობით შეძენილია ინვენტარი. შემოტანილია მოწყობილობა ახალი კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიისათვის, აგრეთვე წყლით სამკურნალო აპარატურის მთელი კომპლექტი, კურორტის ბიბლიოთეკა გამდიდრდა მრავალი ახალი წიგნით. მიმდინარეობს კურორტის კორპუსების რემონტი.

სეზონისათვის მზადების საქმეში ყველაფერი რიგზე მაინც არ არის. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საშენი მასალების ნაკლებობა, რაც აბრკოლებს მთელი რიგი სამუშაოების დაწყებას.

წინა სეზონში დამსვენებლები ხშირად გამოთქვამდნენ საყვედურს კულტურული მომსახურების დაბალი დონის გამო. ოლქის საკურორტო სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ბოკერია და ჯავის კურორტის დირექტორი ამხ. ნ. დურგლიშვილი აცხადებენ — შეიძლება კურორტზე საზაფხულო ესტრადის მოწყობა, ესტრადის ასაშენებლად ხე-ტყის მასალით დროზე თუ ვიქნებით უზრუნველყოფილნი. კურორტს არა აქვს სასტუმრო. ეს სეზონის დროს ხშირად იწვევს უხერხულობას.

არადამაკმაყოფილებლად ზრუნავენ კურორტის მომსახურე პერსონალის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. მათთვის მოწყობილი არ არის ცალკე სასადილო. ამ საქმის მოსაგვარებლად არაფერს აკეთებს „სტალინირვაჭრობა“. ჯავის რაიონის სოფლის სამომხმარებლო კოოპერაციას კურორტზე გახსნილი აქვს ერთი სავაჭრო წერტილი, რომელიც ძალიან ცუდად მარაგდება სასურსათო და სამრეწველო საქონლით. ეს მდგომარეობა ახლავე უნდა გამოსწორდეს.

კურორტს აქვს წყალსადენი, რომელიც მიმდინარე რემონტის შემდეგ დაიკმაყოფილებს მოთხოვნილებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს წყალსადენი რაიონულ ცენტრსაც ემსახურება. საკურორტო სეზონის გახსნის მომენტიდან წყალი მთლიანად კურორტს დასჭირდება. აუცილებელია ამ მდგომარეობას ახლავე მიექცეს ყურადღება, რათა ზაფხულში რაიონულმა ცენტრმაც შეუფერხებლად მიიღოს წყალი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარმა საკურორტო სამმართველომ და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ჯავის საუკეთესოდ მომზადება საკურორტო სეზონისათვის.

ვ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საყოფაცხოვრებო თემაზე

მოდების ფაბრიკა

რესპუბლიკის მაღაზიებში დიდი რაოდენობით და ფართო ასორტიმენტით იყიდება სხვადასხვა სახის და სეზონის მზა ტანსაცმელი, რომელზეც მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა.

სამკერვალო ფაბრიკებისათვის მზა ტანსაცმლის ლამაზი ფასონების შექმნისათვის მუშაობს საქართველოს სსრ კვების და მსუბუქი მრეწველობის მოდელების სახლი. 1953 წლის საგაზაფხულო-საზაფხულო სეზონისათვის სახლმა შექმნა ქალის, ბავშვის და მამაკაცის საზაფხულო პალტოების, კაბების, პიჟამების, კოსტიუმების, ხალათების და „სარაფანების“ 126 ახალი ფასონი, რომელთაგან 65 უკვე ათვისებულია, ხოლო დანარჩენი მალე გადაეცემა წარმოებას.

მოდელების სახლი თვალს ადევნებს ახალ მოდებს და ახალი სახის ქსოვილთა გამოშვებას. უკანასკნელ ხანებში მოდელების სახლის მიერ მიცემული ფასონის მიხედვით სამკერვალო ფაბრიკები უშვებენ მთლიანსახელოიან კაბებს, ხალათებს და „კოფთებს“. ლამაზი კაბები იკერება ახლად გამოშვებული ისეთი ქსოვილებიდან, როგორიც არის კრეპ-მოსკოვი, კრეპ-ოქტომბერი და კრეპ-მაისი. დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე ხელოვნური აბრეშუმის ნაწარმიდან — კრეპ-სატინის, ტალღისებური კრეპის, კრეპ-ჟორჟეტის და კრეპ-ამორის ქსოვილებიდან დამზადებულ ტანსაცმელზე.

ახალი ფასონების დამუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართული ტანსაცმლისა და ორნამენტის გამოყენებას. ძირითადად იყენებენ ძველებურ ქართულ ტანსაცმელს, რომლის ნიმუშები დაცულია საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმებში. დამუშავებულია ქალისა და გოგონების ქართული სტილის ტანსაცმლის 25 სხვადასხვა მოდელი. გარდა ამისა, ფართოდ გამოყენებულია ტანსაცმლის მოკარგვა და მხატვრული გაწყობა. შექმნილია 16 სხვადასხვა სახის მოკარგული მოდელი.

ახალი ფასონების შექმნაში ნაყოფიერად მუშაობენ მხატვარი-მოდელიერები ა. კალანდაძე, ე. სარქისიანი, ზ. კარასევა, ა. რუხაძე, თ. კალანდაძე და მ. მართაშვილი. ახალგაზრდა კონსტრუქტორმა-მოდელიერმა ე. ატაპინამ შექმნა ქალისა და ბავშვის პალტოების და კოსტიუმების ახალი ფასონები, მათ შორის აღსანიშნავია პალტო-ჩოხა. მხატვარმა მოდელიერმა ზ. კარასევამ შექმნა ბავშვის ტანსაცმლის ახალი ფასონები, რომლებმაც საერთო მოწონება დაიმსახურა გამოფენებზე თბილისსა და მოსკოვში.

მოსახლეობის მოთხოვნილების შესასწავლად მხატვარ-მოდელიერებს და კონსტრუქტორებს კვირაში ერთხელ აქვთ შემოქმედებითი დღე. ამ დღეებში მოდელიერები ათვალიერებენ მუზეუმებს, სამხატვრო აკადემიის გამოფენებს, მზა ტანსაცმლის მაღაზიებს და მომხმარებლებთან უშუალო კონტაქტით სწავლობენ მათს მოთხოვნებსა და წინადადებებს.

მოდელების სახლთან ჩამოყალიბებულია შემოქმედებითი კაბინეტი, სადაც წარმოებს შეკრებილი მასალების დამუშავება, ურთიერთგაცნობა და განზოგადება. კაბინეტში არის მოდების ახალი ჟურნალები, სპეციალური ლიტერატურა და სხვა. აქვეა ძველი დროის ტანსაცმლის ესკიზები, ჩანახატები, მრავალი სახის ქართული ორნამენტი. წარმოებს მათი სისტემატიზაცია და დამუშავება წარმოებაში გამოყენების მიზნით.

ე. მამალაძე.

საბავშვო ბაგა კოლმეურნეობაში

შარშან ტყიბულის რაიონის ძიროვნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით მოაწყო საბავშვო ბაგა. ამა წლის 1 აპრილიდან ბაგა კვლავ გაიხსნა. ბავშვები უზრუნველყოფილი არიან კვებით, თეთრეულით, სათამაშოებით და სხვ.

საბავშვო ბაგა საშუალებას აძლევს კოლმეურნე დედებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკოლმეურნეო შრომაში.

ნიგნის თაროზე



ილო მოსაშვილის ლექსები და პოემები

Სახელგამმა გამოსცა ილო მოსაშვილის ლექსებისა და პოემების კრებული. კრებული წარმოდგენილი ნაწარმოებნი მთლიან წარმოდგენას გვაძლევენ ი. მოსაშვილის პოეტურ შემოქმედებაზე. ლირიკული ლექსები კრებულში დალაგებულია შემდეგ თემატურ რკალებად: ბელადისადმი, ჩემგან სამშობლო, მისი ბარათი, ომის ხმა, ძმადნაფიცები, უღელტეხილზე, მოგონებანი, უბის წიგნიდან, სიმღერები, განთიადამდე. აქვე მოთავსებულია პოემები და თარგმანები.

წიგნის რედაქტორია კ. ლორთქიფანიძე. კრებული გამოცემულია 10.000 ცალი ტირაჟით და ღირს 9 მან. 30 კაპ.

• • •

◉ გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ს. უსტიუნგელის „საპყრობილე და თავისუფლება“, თურქი კომუნისტის ჩანაწერები. წიგნს წამძღვარებული აქვს ნაზიმ ჰიქმეთის წინასიტყვაობა და დართული აქვს გ. მაჭავარიანის ბიოლსიტყვაობა ქართული გამოცემისათვის. წიგნის რედაქტორია კ. მაჭავარიანი, შეიცავს 239 გვ. და ღირს 3 მან. 70 კაპ.

◉ **ა. წერეთელი. ბავშვის.** წიგნის რედაქტორია ს. ჭილაია, მხატვარი ე. ანდრონიკაშვილი, ფერადი ილუსტრაციები შესრულებულია ე. ბალდავაძის მიერ. საბლიტგამი. 1952 წ., ტირაჟი 16.000. გვ. 95, ფასი 7 მან. 90 კაპ.

◉ **გ. თავაზიშვილი. — „იაკობ გოგებაშვილი“** მონოგრაფია მ. ბურკულაძის რედაქციით. წიგნი დაყოფილია შემდეგ თავებად: ცხოვრება და მოღვაწეობა; მსოფლმხედველობა; პედაგოგიკური მოძღვრება; ხალხურობის პრინციპი და დედაენა; დიდაქტიკა; მხატვრული შემოქმედება. საბლიტგამი. 1952 წ., ტირაჟი 8.000, ფასი 6 მან. 80 კაპ.

ლ. ნ. ტოლსტოის იუბილესათვის მზადება საქართველოში

საქართველოს საზოგადოებრიობა ემზადება ფართოდ აღნიშნოს დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავი. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა სტალინური პრემიის ლაურეატის ლ. ქიაჩელის თავმჯდომარეობით შექმნა მწერლის იუბილეს მომზადების კომისია. თბილისში გაიმართება ტოლსტოის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საღამო. საწარმო-დაწესებულებებში, სასწავლებლებში, კლუბებსა და კულტურის სახლებში გაიმართება ლექციები, მოხსენებები და საუბრები ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

გათვალისწინებულია ქართულ ენაზე გამოიცეს დიდი რუსი მწერლის რჩეულ თხზულებათა ერთტომეული.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 6 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ განვლილი დღის მანძილზე ფრონტებზე არაფითარი ცვლილება არ მომხდარა.

დღეს სახალხო არმიის სარეზერვო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 6 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა კესონიდან გადმოსცა დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციის მიერ 6 მაისს გამოქვეყნებული კომუნიკეს შემდეგი ტექსტი:

6 მაისის სხდომაზე მეორე მხარე კვლავ ეწინააღმდეგებოდა ჩვენი მხარის წინადადებას იმის შესახებ, რომ ის სამხედრო ტყვეები, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება, გაიგზავნონ ნეიტრალურ სახელმწიფოში. ეს წინადადება ჩვენი მხარის მიერ შეტანილი იყო სამხედრო ტყვეთა მთელი საკითხის გადაჭრის მიზნით. ამავე დროს მეორე მხარე კვლავ უარს ამბობდა განემარტა თავისი პოზიცია იმ ნეიტრალური სახელმწიფოს კანდიდატურის დასახელების საკითხში, რომელიც დროებით თავის მზრუნველობაში აიყვანს სამხედრო ტყვეებს. უფრო მეტიც, იგი აპირებს გადადგას ნაბიჯი უკან — ძირითადად უარი თქვას მოლაპარაკების ახლანდელ საფუძველზე, რაც იმით გამოიხატება, რომ სამხედრო ტყვეები, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება, უნდა გადაეცნენ ნეიტრალურ სახელმწიფოს, და „ადგილობრივ განთავისუფლების“ სახით მოითხოვს ძალად დააკავონ ის სამხედრო ტყვეები კორეის სახალხო არმიის შემადგენლობიდან, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება.

კორეა-ჩინეთის მხარის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა სხდომაზე აღნიშნა, რომ ეს მეტად მიზანშეუწონელი თვალსაზრისია, რომელსაც ჩვენი მხარე ვერასგზით ვერ მიიღებს მხედველობაში. მან განაცხადა: „ორივე მხარის დელეგაციების წინაშე მდგომი ამოცანა ის არ არის, რომ უარი ვთქვათ პრინციპზე, რომელზეც ორივე მხარე შეთანხმდა, არამედ ის, რომ ამ პრინციპის შესაბამისად მივიღოთ წინასწარი პირობა, რაც იმით გამოიხატება, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოში გაიგზავნონ სამხედრო ტყვეები, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება. ნეიტრალური სახელმწიფოს კონკრეტული კანდიდატურის დასახელება მანამდე, სანამ ეს პირობა იქნებოდეს მიღებული, არა მარტო პრაქტიკულად უაზროა, არამედ არ წარმოადგენს ნეიტრალური სახელმწიფოსადმი სათანადო პატივისცემის გამოჩენას. ეს იმიტომ, რომ ორივე მხარეს ჯერ კიდევ ვერ გამოუნახავს საერთო აზრი იმის შესახებ, თუ რა მოვალეობანი უნდა შეასრულოს ნეიტრალურმა სახელმწიფომ. თუ თქვენს მხარეს ნეიტრალური სახელმწიფოს კანდიდატურა პროპაგანდის მიზნით კი არ დაუსახელებია, არამედ საკითხების სერიოზული მოწესრიგების მიზნით, ჩვენს მხარეს მიაჩნია, რომ თქვენ საფუძველი არა გაქვთ უარი თქვათ ნეიტრალურ სახელმწიფოში სამხედრო ტყვეების გაგზავნის საკითხის ჩვენს მხარესთან ერთად განხილვასა და გადაჭრაზე. ეს საკითხი კი ყველაზე აღრე უნდა გადაიჭრას.

ჩვენს მხარეს მიაჩნია, რომ იმ სამხედრო ტყვეთა გაგზავნა ნეიტრალურ სახელმწიფოში, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება, ანდა მათი დაკავება კორეაში, სადაც ისინი იქნებიან ნეიტრალური სახელმწიფოს მეურვეობაში, — ორი სხვადასხვა მდგომარეობაა, რომლებიც სრულიად სხვადასხვა კონკრეტულ ღონისძიებას მოითხოვენ. მხოლოდ მაშინ, როცა ეს საკითხი გადაიჭრება, მიზანშეწონილი იქნება გადავიდეთ ნეიტრალური სახელმწიფოს კონკრეტული კანდიდატურის დასახელებაზე. ჩვენი მხარე თანმიმდევრულად იცავს იმ თვალსაზრისს, რომ სამხედრო ტყვეები, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება, უნდა გაიგზავნონ ნეიტრალურ სახელმწიფოში. ამ მიზნით შემოიტანა მან ექვსი პუნქტისაგან შემდგარი წინადადება და ამრიგად უაღრესი სიცხადით განმარტა თავისი პოზიცია — თქვენს მხარეს მიაჩნია, რომ ეს სამხედრო ტყვეები უნდა დარჩნენ კორეაში ნეიტრალური სახელმწიფოს მეურვეობაში და დაასახელა რამდენიმე ნეიტრალური სახელმწიფოს კონკრეტული კანდიდატურები, რომლებიც თქვენს მხარეს შესაფერისად მიაჩნია. მაგრამ თქვენს მხარეს ჯერ კიდევ არ განუმარტავს ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ განხორციელდება კორეაში მეურვეობა სამხედრო ტყვეებისადმი. სამი დღის განმავლობაში ჩვენ არაერთგზის ვთხოვეთ თქვენს მხარეს განემარტა თავისი წინადადება. სამწუხაროდ, თქვენს მხარეს ჯერ კიდევ სათანადოდ არ განუმარტავს საკუთარი წინადადება. ჩვენს მხარეს მიაჩნია, რომ თქვენი მხარის ასეთი პოზიცია ხელს არ უწყობს მოლაპარაკების პროგრესს“.

ორივე მხარის დელეგატები ერთმანეთს კვლავ შეხვდებიან 7 მაისს.

ნიუ-იორკი, 6 მაისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს პანმინჯონელ კორესპონდენტს მოჰყავს კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე ამერიკის დელეგაციის მეთაურის გენერალ-ლეიტენანტ ჰარისონის განცხადება, რომელიც მოითხოვს, რომ ნეიტრალური ქვეყანა, რომელიც არჩეულ იქნება სამხედრო ტყვეთა მეურვედ, „სარგებლობდეს სრული კონტროლით მის ხელში გადაცემული ყველა სამხედრო ტყვის დაცვისადმი და წყვეტდეს ყველა მათს საქმეს“.

შექსპირის სამშობლოში

ლონდონიდან ორსაათნახევრის მგზავრობის შემდეგ ინგლისის გულში ვართ — ვარვიკშირის საგრაფოში, სადაც მდინარე ეივონზე მდებარეობს პატარა ქალაქი სტრეტფორდი, დიდი ინგლისელი პოეტის უილიამ შექსპირის სამშობლო.

ვარვიკშირის ლამაზი ბუნება, უბრალო ხალხი მისი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, სიმღერებითა და ცეკვებით — ასეთი იყო შექსპირის გენიის მასაზრდოებელი გარემო. ბევრმა წყალმა ჩაიარა ეივონში იმ შორეული დროიდან, მაგრამ შექსპირის დიდებული სახელი სამუდამოდ დაკავშირებული დარჩა ამ წარმტაც ხაპირებთან. კლაპტონის ხიდთან, მდინარიდან რამდენიმე ნაბიჯზე, აღმართულია შექსპირის ძეგლი. კვარცხლბეკზეა სავარძელში მჯდომი დიდი პოეტის ბრინჯაოს ფიგურა; მას ხელში კალამი უჭირავს, თვალი ეივონზე მიუპყრია.

იქვე ახლოს, ზედ ეივონის ნაპირზე, დგას შენობა ცნობილი სტრეტფორდის თეატრისა, რომლის სცენაზეც იდგმება შექსპირის პიესები.

ბევრი ღონისძიების განხორციელება გახდა საჭირო იმისათვის, რომ პოეტის სამშობლოში შეექმნათ შექსპირის მუდმივი თეატრი. თეატრი მხოლოდ 1879 წელს გაიხსნა. 1926 წელს თეატრის შენობა დაიწვა, მაგრამ თეატრის მუშაობა არ შეუწყვეტია. ექვსი წლის შემდეგ აგებულ იქნა ახლანდელი შენობა.

თეატრი ყოველ წელიწადს დგამს შექსპირის მთელ რიგ პიესებს. ამ სეზონში მის სცენაზე იდგმება „ვენეციელი ვაჭარი“, „რიჩარდ III“, „ანტონიოს და კლეოპატრა“, „მეფე ლირი“, „ჰირვეულის მორჯულება“.

შექსპირის დროიდან განვლილ საუკუნეებს არ შეიძლებოდა არ შეეცვალა სტრეტფორდის სახე. მაგრამ მისი მცხოვრებლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს შემოენახათ შექსპირის დროინდელი ზოგიერთი ძეგლი, რომლებიც ქალაქის ბევრ კუთხეს განსაკუთრებით გაუმეორებელ კოლორიტს აძლევს.

„პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან

ეი ჰენლი-სტრიტის ქუჩა. ოდესღაც აქ იდგა ერთმანეთთან შეერთებული ორი სახლი, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ჯონ შექსპირი, რომელიც დაბადებასა და ვაჭრობას ეწეოდა, და სადაც, გადმოცემით, 1564 წლის 23 აპრილს დაიბადა უილიამი. გასული საუკუნის შუა ხანებამდე ეს სახლები სხვადასხვა მფლობელთა ხელიდან ხელში გადადიოდა. 1847 წელს ისინი იყიდა კერძო პირთა ჯგუფმა და რეკონსტრუქციის შემდეგ მუზეუმად გადააქცია.

ჩვენ წინ არის მოზრდილი ორსართულიანი სახლი ძველ ინგლისურ ნაგებობათათვის დამახასიათებელი ხის კარკასით და შელესილი თეთრი კედლებით. მასივური ხის კარით შევდივართ შენობის ქვედა სართულის ქვის იატაკიან ოთახებში, რომლებშიც დგას ძველებური უბრალო ავეჯი, კედლებში დატანებულია დიდი ბუხრები შამფურებითა და საჭმლის მოსამზადებელი ქვაბებით. იმ ოთახში, სადაც, გადმოცემით, დაიბადა პოეტი, ხის თასებზე მნახველებს ამოუკვეთიათ თავიანთი სახელები, რომელთა შორისაც შევხვდით ცნობილი პოეტების, მწერლების, მსახიობების სახელებს. სახლ-მუზეუმში ინახება შექსპირის ნაწარმოებთა ადრინდელი გამოცემა; აქვეა მის თანამედროვეთა წიგნები, რომლებშიც პირველად არის მოხსენიებული დიდი პოეტი. სახლთან მდებარე პატარა ბაღში მზრუნველობით გაუზრდიათ სხვადასხვა ხეები, ბუჩქები, ყვავილები და ბალახები, რომლებიც მოხსენიებულია შექსპირის ნაწარმოებებში.

ჰენლი-სტრიტით მარჯვნით თუ წავალთ და ჩაპელ-სტრიტსა და ჩორჩსტრიტს გავყვებით, დავინახავთ ჯერ კიდევ XIII საუკუნეში აშენებულ ქვიტკირის ეკლესიას, რომელსაც აკრავს სკოლისა და ქსენონის შენობა — დროისაგან წაფერფლებული ხის ნაგებობა, რომლის მეორე სართული რამდენადმე გადმოწეულია პირველზე და რომელსაც დაბალი ჭერი და პატარა ფანჯრები აქვს. ფიქრობენ, რომ ამ სკოლაში სწავლობდა შექსპირი. შესაძლოა, რომ იგი აქვე პირველად გაეცნო მოხეტიალე თეატრის დადგმებს.

ეკლესიის გასწვრივ არის ნიუ-პლეისი — ადგილი, სადაც იდგა სახლი, რომელშიც უკანასკნელ წლებს ცხოვრობდა და გარდაიცვალა შექსპირი. ეს სახლი აღარ არსებობს, და მისი ისტორია, რომლის შესახებაც სდუმს გზამკვლევთა უმრავლესობა, — საგულისხმოა.

XVIII საუკუნის შუა ხანებში სახლი ეკუთვნოდა ვინმე მღვდელს ფრანსისკ გასტრელს. მას აღიზიანებდა ის, რომ მოდიოდა ბევრი მნახველი, რომლებსაც სურდათ ენახათ სახლი და ბაღში მდგომი თუთის ხე, რომელიც, გადმოცემით, შექსპირმა დარგო. გასტრელმა ხე მოაჭრევინა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ სახლიც დაანგრევინა. განრისხებულმა სტრეტფორდელებმა ბნელეთისმოციქული გააძევეს, მაგრამ გვიან იყო. ახლა ისტორიულ სახლს მოგვაგონებს მხოლოდ საძირკვლის ნაშთები და მუზეუმში დაცული მაგიდა, რომელიც გაკეთებულია გასტრელის მიერ მოჭრილი თუთის ხის 52 (შექსპირის სიცოცხლის წლების რაოდენობის მიხედვით) ნაჭრისაგან.

თეატრის შორიახლოს, ეივონის დაყოლებით, დგას ძველი სამრევლო ეკლესია, „ვაწახნაგოვანი შპილით, რომელიც ეკლესიას მიშენებული აქვს XVIII საუკუნეში. აქ დაკრძალულია შექსპირი. საფლავის უბრალო ქვის ზემოთ ნიშში, რომელსაც მაღალი ფანჯრის ნაწილი უკავია, დგას პოეტის ბიუსტი, გაკეთებული მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. საეკლესიო წიგნში არის ჩანაწერი შექსპირის დაკრძალვის შესახებ.

სტრეტფორდში და მის მიდამოებში დაცულია შექსპირის სახელთან დაკავშირებული სხვა ძეგლებიც.

სტრეტფორდში პატივს სცემენ შექსპირს, ამაყობენ შექსპირით. დიდი თანამემამულისადმი სიყვარულისა და მადლიერების ამაღელვებელი სიტყვები გვესმოდა ცნობილი მსახიობისა და მოხუცი ექსკურსიამძღოლისაგან, ახალგაზრდა მეცნიერისა და ტაქსის შოფრისაგან. მაგრამ სტრეტფორდში ისეთი ადამიანებიც არიან, რომლებისთვის შექსპირის სახელი მხოლოდ აბრაა მომგებიანი ბიზნესისათვის. ესენი არიან ყბადაღებული „ტურისტული ინდუსტრიის“ მესვეურები.

შექსპირის ადგილებს ყოველ წელიწადს ათეულ ათასობით ტურისტი ნახულობს. ზოგი იმისათვის მოდის, რომ პატივი სცეს პოეტის ხსოვნას. ზოგი კი მხოლოდ იმისათვის, რომ გაერთოს. ტურისტთა სწორედ ამ მეორე ნაწილს უქმნიან განსაკუთრებით მოხერხებულ პირობებს. ბევრი სასტუმრო და კაფე მოთავსებულია ძველებურ ან ძველებურის სახით სტილიზებულ სახლებში; იქ შექსპირის სახელს ფართოდ იყენებენ რეკლამისათვის. სტრეტფორდის ოფიციალური ცნობარი პოეტის სახელთან აკავშირებს... ჩიბუხების, ლიმონის დამტამპულ ნაკეთობათა, ლუდის კასრებისა და, ასე გასინჯეთ, ჯინიანი ლეკვების რეკლამას.

ჩვენ იმედი გვქონდა, რომ შექსპირის ქალაქში ვნახავდით წიგნის მაღაზიების ვიტრინებს, რომლებიც სავსე იქნებოდა პოეტის ნაწარმოებებით. მაგრამ იმედი გაგვიცრუდა. პირველივე ვიტრინა, რომელიც ვნახეთ, აჭრელებული იყო უამრავი წიგნაკით, რომელთა შინაარსს ამომწურავი სიცხადით გადმოგვცემს მათი სათაურები: „საუცხოო დღე მკვლელობისათვის“, „როზმარი სიკვდილისათვის“, „წუთი მკვლელობისათვის“, „სიკვდილისათვის დრო არ არის“, „ იგი მოკლეს“, „მკვლელობა დილით ადრე“ და ა. შ. მრავალ ტონა ასეთ „ლიტერატურაში“ მალე როდი შევძელით გვეპოვნა შექსპირის პიესების გამოცემები.

„ტურისტული ინდუსტრიის“ ორგანიზატორები სტრეტფორდში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მდიდარ ამერიკელ სტუმრებს. ზოგიერთი სასტუმროსა და მაღაზიის თავზე ამერიკული ალმები ფრიალებს ინგლისის ეროვნული ალმების თანასწორი უფლებით. ოფიციალური გზამკვლევი თავაზიანად იძლევა წინადადებას ისტორიული ადგილების დათვალიერება დაიწყონ ბაზრის მოედნიდან მხოლოდ იმიტომ, რომ იქ არის შადრევანი, რომელიც გასულ საუკუნეში ქალაქს ვიღაც ამერიკელმა აჩუქა. ყველა ცნობარი, ჩამოთვლის რა შექსპირის ხსოვნასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს, აუცილებლად მოაგონებს მკითხველს, რომ სტრეტფორდშია ჯონ ჰარვარდის —ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰარვარდის უნივერსიტეტის დამაარსებლის — დედის სახლი, თუმცა ამ ფაქტს, ცხადია, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს შექსპირთან.

ასეთი ზრუნვა იმისათვის, რომ ამერიკელმა ტურისტებმა, რომელთაგან ყველაზე მეტ შემოსავალს გამოელიან, შექსპირის სამშობლოში თავი ისე იგრძნონ, როგორც შინ, სრულიად ზედმეტია: მდიდარი ამერიკელი სტუმრები ისედაც ბატონებად გრძნობენ აქ თავს. ჰარვარდის დედის სახლი უკვე დიდი ხანია იყიდეს ამერიკელებმა. ამ სახლში, სხვათა შორის, მოთავსებულია ერთგვარი შტაბ-ბინა ეგრეთწოდებული „ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ერთა კავშირისა“ — ანგლო-საქსური რასის უპირატესობის მქადაგებელი ნაციონალისტური ორგანიზაციისა.

მაამებლობა, რასაც „ტურისტული ინდუსტრიის“ ორგანიზატორები ჩამოსული ამერიკელი მდიდრების მიმართ იჩენენ, აშკარა უკმაყოფილებას იწვევს ბევრ მკვიდრ სტრეტფორდელში, რომლებისთვისაც ესოდენ ძვირფასია შექსპირის სახელი.

ამერიკელ საქმოსანთა ცდები — დოლარებით შეიძინონ შექსპირის მიმართ უფლებათა რაღაც წილი (ამერიკელმა მილიონერმა როკფელერმა შემთხვევით როდი დააბანდა 100 ათასი გირვანქა სტერლინგი შექსპირის თეატრის აღდგენაზე) შეხამებულია ზოგიერთი მათი თანამემამულის ცდებთან — ჩირქი მოსცხონ შექსპირის სახელს და დაამცირონ ინგლისელთა ეროვნული ღირსება. არც ისე დიდი ხნის წინათ ერთმა ჩიკაგოელმა პროფესორმა საქვეყნოდ განაცხადა, შექსპირი ინგლისელი არ იყოო. რატომ? „პროფესორი აღნიშნავს, — იუწყება გაზეთი „ტაიმსი“, — რომ არც ერთ ინგლისელს არასოდეს არ დაუწერია არც ერთი კარგი პიესა...“

ყოველ წელიწადს 23 აპრილს — შექსპირის დაბადების დღეს, რაც მისი გარდაცვალების დღეს ემთხვევა, — ეივონის სტრეტფორდში იმართება დიდი პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია. მაღალ ანძებზე, რომლებიც დადგმულია შექსპირის თეატრიდან იმ სახლამდე, სადაც, გადმოცემით, დაიბადა პოეტი, აღიმართება იმ სახელმწიფოთა ალმები, რომელთა საელჩოები და მისიები აკრედიტებული არიან ლონდონში. მრავალი ერის წარმომადგენლები მოდიან ქალაქში, რათა გვირგვინებითა და თაიგულებით შეამკონ შექსპირის საფლავი. ათასობით სტრეტფორდელი — დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გამოდის ქუჩებში, რათა პატივი სცეს დიდ თანამემამულეს.

როგორც ყოველთვის, პოეტის საფლავს საუცხოო გვირგვინით ამკობენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები, იმ ქვეყნის წარმომადგენლები, სადაც შექსპირის ნაწარმოებნი მილიონიანი ტირა

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს კომუნიკე

სტოკჰოლმი, 6 მაისი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ ბიუროს გუშინდელი სხდომა მიეძღვნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს უახლოესი სესიისათვის მზადებას.

მშვიდობის მომხრეთა კრება პარიზში

პარიზი, 6 მაისი. (საკდესი). პარიზის „მიუტიუალიტეს“ დარბაზში გუშინ გაიმართა კრება, რომელიც მოაწყეს დედაქალაქის მე-5, მე-6, მე-7 ოლქების მშვიდობის საბჭოებმა. კრება მიმდინარეობდა ლოზუნგით „საჭიროა მოლაპარაკება, რომ მიღწეულ იქნას მშვიდობა“.

კრებაზე გამოვიდა მშვიდობის ეროვნული საბჭოს წევრი პიერ პარმანტიე, რომელმაც აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობას დღემდე არ გაუცია პასუხი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის მიმართვაზე ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისადმი, რომლითაც კომისია მოუწოდებს დაიწყონ მოლაპარაკება მშვიდობის პაქტის დადების მიზნით. მან მოაგონა დამსწრეთ, რომ მშვიდობის დაცვის კომისიამ უკვე მიიღო დადებითი პასუხი საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, აგრეთვე პოლონეთის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების მთავრობებისაგან.

ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ჟან-პოლ სარტრმა აღნიშნა, რომ საჭიროა საზავო მოლაპარაკების გამართვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან, რათა ბოლო მოეღოს „აბსურდულ, საშიშ და უსამართლო ომს, რომელმაც ამასთან საფრანგეთი ჩაითრია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ორბიტში“.

„ჩვენ ვაიძულებთ ჩვენს ადამიანებს დაიღუპონ უმიზნოდ, — თქვა სარტრმა. — ევროპაში ჩვენ ვახორციელებთ სულელურ და დამღუპველ პოლიტიკას. ამ პოლიტიკისათვის აპატიმრებენ მშვიდობის მეგობრებს და საზიზღარ პროპაგანდას ეწევიან სსრ კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება ბოლო მოეღოს ომს ინდოჩინეთში და უარყოფილ იქნას ევროპის არმია. ამ გზით მოვიპოვებთ მშვიდობას“.

ჟან-პოლ სარტრმა მოუწოდა დამსწრეთ ფართო კამპანია გააჩაღონ, რათა მიაღწიონ იმას, რომ საფრანგეთის მთავრობამ დადებითი პასუხი გასცეს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის წინადადებებს.

ფინეთის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის მიმართვა მოსახლეობისადმი

ჰელსინკი, 6 მაისი. (საკდესი). 10-დან 17 მაისამდე ფინეთში ეწყობა მშვიდობის კვირეული. ამასთან დაკავშირებით ორგანიზაციის „ფინეთის მშვიდობის მომხრენი“ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადება ფინეთის ინტერესებსაც შეესაბამება. როგორც აღნიშნულია მიმართვაში, ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის წინადადება უშუალოდ ეხება ფინეთსაც. მიმართვის ავტორები აცხადებენ, რომ ფინეთის ოფიციალურ წრეებს სრული საფუძველი აქვთ მხარი დაუჭირონ ამ კომისიის მიმართვას. ფინეთმა თავის სახელმწიფო ხელშეკრულებებში ხომ იკისრა ვალდებულება მხარი დაუჭიროს ყველა ღონისძიებას, რომლის მიზანია მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა.

ორგანიზაციის „ფინეთის მშვიდობის მომხრენი“ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა მშვიდობისმოყვარე მოქალაქეს, განურჩევლად მათი პოლიტიკური რწმენისა და მსოფლმხედველობისა, გაერთიანდნენ მშვიდობისათვის საბრძოლველად.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მიმართვა კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 5 მაისი. (საკდესი). 5 მაისს ეიზენჰაუერის მთავრობამ კონგრესის განსახილველად შეიტანა უცხო სახელმწიფოებისათვის შემდეგ საფინანსო წელს დახმარების გაწევის პროგრამა. მთავრობა ამ მიზნებისათვის თხოულობს 5.828 მილიონი დოლარის ასიგნებას, მაშინ როცა ტრუმენი ითხოვდა 7.600 მილიონ დოლარს.

კონგრესისადმი მიმართვაში ეიზენჰაუერი აღნიშნავს, რომ ამ ასიგნობათა ძირითადი ნაწილი — დაახლოებით 5.250 მილიონი დოლარი — განკუთვნილია ამერიკის შეერთებული შტატების „მეგობრებისა და მოკავშირეების თავდაცვით ღონისძიებათა“ უშუალო მხარდაჭერისა და შეიარაღებისათვის, ხოლო დაახლოებით 550 მილიონი დოლარი — „ტექნიკური, ეკონომიკური და კვლევითი ღონისძიებებისათვის, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ ამ ქვეყნების რესურსების უფრო ქმედით გამოყენებას“.

მოითხოვს რა სამხედრო მიზნებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი სახსრების აცილებას, ეიზენჰაუერი ცდილობს ეს ასიგნობანი კონგრესს მიაღებინოს იმ საბაბით, რომ თითქოს არ არსებობს „საბჭოთა კავშირის ნამდვილად მშვიდობიანი განზრახვის დამამტკიცებელი საბუთები“.

ვაშინგტონი. 6 მაისი. (საკდესი). კონგრესისადმი პრეზიდენტის მიმართვასთან ერთად შეტანილია მთავრობის კანონპროექტი, რომელიც მეცავს „უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის კანონის მთელ რიგ შესწორებებს. 5,8 მილიარდ დოლარზე მეტი ასიგნობებიდან, რაც მოთხოვნილია უცხო სახელმწიფოებისათვის ეგრეთწოდებული დახმარების გასაწევად, კანონპროექტის თანახმად 4 მილიარდ დოლარზე მეტი გათვალისწინებულია „გაწვრთნისა და სამხედრო მასალებით უზრუნველყოფისათვის უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის კანონის საფუძველზე“.

მთავრობის კანონპროექტით დატოვებულია ეგრეთწოდებული კერსტენის შესწორება, რომელიც ითვალისწინებს 100 მილიონი დოლარის ასიგნებას საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ დივერსიული და ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის, და ამ შესწორების მოქმედებას ავრცელებს აზიაზეც.

ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკება კაიროში

კაირო, 6 მაისი. (საკდესი). ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკება კაიროში დროებით შეწყდა, რადგან მხარეები ვერ შეთანხმდნენ სუეცის არხის ზონიდან ინგლისის ჯარების ევაკუაციის პრინციპებზე.

მშვიდობის კაქტისათვის

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მხარს უჭერს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის მიმართვას

ბერლინი, 6 მაისი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარეს პროფესორ ფრედერიკ ჟოლიო-კიურის, აგრეთვე ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის წევრებს პიეტრო ნენიისა და დოქტორ იოზეფ ვირტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით მხარს უჭერს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვას ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისადმი იმის შესახებ, რომ დადონ მშვიდობის პაქტი.

წერილში, კერძოდ, ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და მთელი გერმანიის მოსახლეობა მხურვალედ მიესალმებიან ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიერ 1952 წლის 19 დეკემბერს მიღებულ მიმართვას ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისადმი იმის შესახებ, რომ დადონ მშვიდობის პაქტი. ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტს, აღნიშნულია წერილში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გერმანელი ხალხისათვის, რადგან მოლაპარაკების გზით საერთაშორისო დაძაბულობის შენელება გააადვილებდა აგრეთვე გერმანიის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას. ამით, უეჭველია, დაჩქარდებოდა შესრულება გერმანელი ხალხის მტკიცე მოთხოვნისა ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის შექმნის შესახებ, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებსა და ამის შემდეგ საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ. ამიტომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც დაუცხრომლად ახორციელებს ამ მიზნისაკენ მიმართულ პოლიტიკას, სულით და გულით უჭერს მხარს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვას.

წერილის დასასრულს აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თავის მხრივ ხუთივე დიდი სახელმწიფოს მთავრობებისაგან მოელის, რომ ისინი გამოეხმაურებიან ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვას მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

ქაკ დიუკლოზე თავდასხმის ცდა

პარიზი, 6 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე“ ბეჭდავს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან ჟაკ დიუკლოზე თავდასხმის უშედეგო ცდის დაწვრილებით ცნობებს.

გუშინ საღამოს პარიზის მუშათა გარეუბან მონტრეის მერიაში, სადაც ჟაკ დიუკლოს რეზიდენციაა, გამოცხადდა უცნობი, რომელმაც თავის თავს უწოდა გასტონ ბლანი. მან მოითხოვა, რომ იგი მიეღო ჟაკ დიუკლოს. რადგან დიუკლო იქ არ იყო, იგი მიიღო მისმა მდივანმა. უცნობმა ჯიბიდან ამოიღო ბატენი რევოლვერი და ემუქრებოდა ჟაკ დიუკლოს მდივანს. მაგრამ ამ უკანასკნელმა მოახერხა კაბინეტიდან გასვლა და პოლიციის გამოძახება.

მონტრეის საპოლიციო უბანში გამოირკვა, რომ ამ ტერორისტის ნამდვილი სახელი და გვარია ლუსიენ რიკო.

„ლუმანიტე“ უყოფოს ფრანს პრესის სააგენტომ მიერ გამოთქმულ აზრს, რომ რიკო „ფსიქიკურად შერყეული კაცია“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ მონტრეის მერიაში მისვლამდე რიკო უკვე ცდილობდა ჟაკ დიუკლო ენახა მის სახლში. საქმე ეხება, წერს გაზეთი, ჩვენი პარტიის მდივნის მოკვლის ახალ ცდას. აი დანაშაულებრივი ანტიკომუნისტური კამპანიის შედეგი.

დასასრულ გაზეთი მოგვაგონებს, რომ ეს უკვე მეორე თავდასხმაა ჟაკ დიუკლოზე. პირველი თავდასხმა მოხდა 1950 წლის ოქტომბერში, როცა ჟაკ დიუკლო გამოვიდა მიტინგზე ქალაქ ოშში (ქერის დეპარტამენტი).

საფრანგეთში მუნიციპალური არჩევნების შემდეგ გაზეთი „ფრანს-სუარი“ დე გოლის განცხადების შესახებ

პარიზი, 7 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ფრანს-სუარი“ იუწყება ახალი „კრიზისის“ შესახებ დე გოლის პარტიაში „ფრანგი ხალხის გაერთიანება“. გაზეთის ცნობით, გუშინ დე გოლმა „ფრანგი ხალხის გაერთიანების“ პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის წევრებს განუცხადა, რომ მან გადაწყვიტა ეროვნული კრების დეპუტატებს და რესპუბლიკის საბჭოს წევრებს, რომლებიც არჩეული არიან „ფრანგი ხალხის გაერთიანების“ სიით, „უკრძალოს“ კვლავ გაერთიანდნენ „ფრანგი ხალხის გაერთიანების“ საპარლამენტო ჯგუფებად. გარდა ამისა, დე გოლმა გადაწყვიტა დაშალოს პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტი და შექმნას ახალი „დაჯგუფება“, რომელშიც შევლენ მხოლოდ და მხოლოდ „საიმედო ელემენტები“, აგრეთვე განახორციელოს პარტიის რეორგანიზაცია.

„ფრანს-სუარი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს „აფეთქება“ „ფრანგი ხალხის გაერთიანებაში“ შედეგია „სერიოზული დამარცხებისა“, რომელიც დე გოლის პარტიამ განიცადა უკანასკნელ მუნიციპალურ არჩევნებში.

სამხედრო წარმოების გაფართოება იაპონიაში

შანხაი, 7 მაისი. (საკდესი). ტოკიოდან მიღებული ცნობები მოწმობენ იაპონიაში სამხედრო წარმოების გაფართოებას. სარგებლობს რა პრიორიტეტით სახელმწიფო კრედიტების, ნედლეულისა და ელექტროენერგიის მიღებაში, იაპონიის სამხედრო მრეწველობა ვითარდება მრეწველობის სამოქალაქო დარგების ჩახშობით. უკვე 1952 წელს იაპონიის მეტალურგიულ, მანქანათმშენებელ და ქიმიურ მრეწველობაზე — შეიარაღების წარმოებასთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულ დარგებზე მოდიოდა იაპონიის მთელი სამრეწველო წარმოების 45 პროცენტი, ე. ი. მეტი, ვიდრე ომამდე. თუ 1934-36 წლების სამრეწველო წარმოების ინდექსს მივიღებთ 100-ად, 1952 წელს ამ ინდექსმა ლითონის მრეწველობაში შეადგინა 184 და მანქანათმშენებელ მრეწველობაში — 178.

ამის მკვეთრი კონტრასტია მდგომარეობა მრეწველობის სამოქალაქო დარგებში, სადაც წარმოების დონემ შეადგინა: საფეიქროში — 70 პროცენტზე ნაკლები, ტყავისაში — 82 პროცენტამდე 1934-36 წლების დონესთან შედარებით.

ბინის ქირის გაძიდება თურქეთში

სოფია, 7 მაისი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო, იმოწმებს რა თურქული გაზეთების ცნობებს, იუწყება, რომ 4 მაისს თურქეთის მეჯლისმა მიიღო სამიუჯეტო კომისიის წინადადება 1953 წელს ბინის ქირის 50 პროცენტით გადიდებისა და 1954 წლის 1 იანვრიდან კიდევ 50 პროცენტით გადიდების შესახებ.

იმ შენობების ქირა, რომლებსაც არ იყენებენ საცხოვრებლად, 1953 წელს დიდდება 150 პროცენტით და 1954 წელს 200 პროცენტით.

მზადება ეგვიპტის რესპუბლიკად გამოცხადებისათვის

ლონდონი, 6 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, კონსტიტუციის შესამუშავებლად მთავრობის მიერ შექმნილმა კომიტეტმა გუშინ ერთსულოვნად გამოთქვა აზრი ეგვიპტის რესპუბლიკად გამოცხადების სასარგებლოდ. კომიტეტმა გადაწყვიტა ახალი კონსტიტუციის შემუშავებისას „საფუძვლად მიიღოს რესპუბლიკური რეჟიმი“.

ინდოეთში გაიფიცნენ ოქროს სამადნოების მუშები

ლონდონი, 6 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბომბეიდან გადმოგვცემს, რომ გუშინ კოლარის ოქროს სამადნოების (მაისორის შტატი) 17 ათასმა მუშამ გაფიცვა გამოაცხადა ურეგაუმის ოქროს სამადნოების იმ 3.600 მუშისადმი სოლიდარობის ნიშნად, რომელთაც დათხოვნა მოელით მიმდინარე თვის ბოლოს ამ სამადნოს დახურვასთან დაკავშირებით.

ინგლისის მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითება

ლონდონი, 6 მაისი. (საკდესი). ოფიციალური მონაცემების თანახმად, 1952-53 საფინანსო წლის განმავლობაში (საფინანსო წელი ინგლისში იწყება 1 აპრილიდან. — **რედ.**) ინგლისის მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში 27 მილიონი გირვანქა სტერლინგით შემცირდა.

ამის გამო „ფაინენშლ ტაიმსში“ მოთავსებული სარედაქციო სტატიიდან ჩანს, რომ ანაბრების შემცირება, კერძოდ, დაკავშირებულია ინგლისში სიძვირის ზრდასთან. ომისშემდგომ პერიოდში, აღნიშნავს გაზეთი, „საქონლის ფასი წლითიწლობით მატულობდა, ხოლო ფულის ღირებულება ეცემოდა“.

შრომის სამინისტროს მონაცემებით, საცალო ფასების ინდექსი ამა წლის 17 თებერვლისათვის იყო 139, ხოლო 17 მარტისათვის —140 (ასად აღებულია 1947 წლის ივნისი).

დასავლეთ გერმანიის ბანკების მოგება

ბერლინი. 7 მაისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იტყობინება, დიუსელდორფის „რეინიშვესტფელიშე ბანკმა“, მიუნხენის „ბიუდდოიჩე ბანკმა“ და ჰამბურგის „ნორდდოიჩე ბანკმა“ 1952 სამეურნეო წელს მიიღეს 6,2 მილიონი მარკა წმინდა მოგება.

ეს სამი ბანკი ფინანსურ დახმარებას უწევს დასავლეთ გერმანიის 30-ზე მეტ მეტალურგიულ და ქიმიურ კონცერნს. აღდგენის დღიდან ერთი წლის შემდეგ ამ ბანკებმა მნიშვნელოვნად გააფართოეს ოპერაციები. მათი კრედიტები, რომელთა დაახლოებით $^3/_4$ მძიმე მრეწველობას ხმარდებოდა, 2,63 მილიარდ მარკამდე გადიდდა.

კანადის თემთა პალატამ პროგესი გამოთქვა საპაჭრო ბარიერების წინააღმდეგ, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ქმნიან

ოტავა, 7 მაისი. (საკდესი). როგორც მონრეალის რადიო იუწყება, კანადის თემთა პალატამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მთავრობას მოუწოდებს კატეგორიული პროტესტი განაცხადოს იმის წინააღმდეგ, რომ შეერთებულმა შტატებმა შეზღუდეს იმპორტი კანადიდან. „რეზოლუცია, — ნათქვამია ცნობაში, — შეიტანა ოპოზიციამ, მაგრამ მთავრობის უმრავლესობამ ხმა მისცა რეზოლუციას მას შემდეგ, რაც რეზოლუციის ავტორებმა განმარტეს, რომ ხმის მიცემა უნდობლობის ვოტუმად კი არ ჩაითვლება, არამედ მწოლოდ პალატის ერთსულოვანი აზრის გამოხატულებად“.

პალატამ ერთსულოვნად განაცხადა აგრეთვე პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ შეერთებული შტატები არღვევენ საერთო შეთანხმებას საბაჟო ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ.

თბილისი. რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა ახალი საცხოვრებელი სახლი სადგურის მოედანზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მზადება ფრანგიციული ასპარეზობისათვის

მალე ბაკოში დაიწყება ამიერკავკასიის მომძლე რესპუბლიკების სპორტსმენთა ტრადიციული ასპარეზობა. ამ შეჯიბრებისათვის წარმატებით მოემზადნენ საქართველოს მძლეოსნები, რომლებმაც გაიარეს წვრთნა, მოაწყეს საჩვენებელი გამოსვლები.

ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს მძლეოსანთა შეხვედრები.

წარმატებას მიაღწია ი. უშაკოვმა, რომელმაც 5.000 მეტრი გაირბინა 15 წუთსა და 7,8 წამში და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა.

პირველი ადგილები დაიკავეს: 100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის — ნ. დვალიშვილმა (12,1 წამი), სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის — რ. შავლაკაძემ (180 სანტიმეტრი), ბადროს ტყორცნაში — ი. ივლევმა (42 მეტრი და 89 სანტიმეტრი), 800 მეტრზე რბენაში — ა. მალოიანმა (2 წუთი და 0,6 წამი), სიგრძეზე ხტომაში — ს. ქავთარაძემ (6 მეტრი და 75 სანტიმეტრი), 100 მეტრზე რბენაში — ლ. სანაძემ (10,5 წამი), სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის — ე. ჯუგეროვამ (148 სანტიმეტრი).

გუშინ თბილისიდან ბაკოს გაემგზავრა საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. დუმბაძე და ე. გოკიელი, სპორტის ოსტატები ლ. სანაძე, ნ. დვალიშვილი (ხნიკინა) და სხვები.

ამიერკავკასიის მომძლე რესპუბლიკების სპორტსმენთა ტრადიციული ასპარეზობა ბაკოში დაიწყება 10 მაისს.

ბათუმის პიონერთა პარკში

ბ ა თ უ მ ი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ლ. პ. ბერიას სახელობის ბათუმის პიონერთა პარკში გაიხსნა საზაფხულო სეზონი.

ღილით გაიმართა პარკის გახსნის მონაწილე პიონერთა ტრადიციული პარადი. დღის 12 საათზე აღიმართა პიონერთა პარკის ახალი სეზონის გახსნის ალამი.

მეორე განყოფილება მიეძღვნა მხატვრულ და მასობრივ-კულტურულ გამოსვლებს.

პარკის საზაფხულო თეატრში მოეწყო 1 მაისისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დილა, ქალაქის სკოლების მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლა საზაფხულო სეზონის ჯილდოზე, ხოლო შემდეგ პარკის დრამატულმა წრემ წარმოადგინა პიესები: „წითელი ყელსახვევი“ და „დროშა კრასნოდონზე“.

პიონერთა პარკის ტბაზე გაიმართა მასობრივი სეირნობა ნავებით და შეჯიბრება იალქნიანი ნავებით ცურვაში.

აქ შექმნილია ყველა პირობა ბავშვთა კულტურული და ჯანსაღი გართობისა და დასვენებისათვის. მათს განკარგულებაშია კარუსელი, „გიგანტური ნაბიჯები“, ჭიდრაკი და შაში, ველოსიპედები, ზოოლოგიური კუთხე და სხვა სათამაშოები და გასართობი.

საღამოს პარკის ცენტრში გაჩაღდა პიონერული კოცონი. პარკის ტერიტორიაზე აჩვენეს სპავშვდ კინოფილმები.

საზაფხულო სეზონის გახსნა, რომელშიც ათასობით ბავშვი მონაწილეობდა, ბათუმის პიონერ-მოსწავლეთა ნამდვილი დღესასწაული იყო.

ახალი ქუჩები

ერთ დღესაც არ წყდება ინდუსტრიული ტყვარჩელის კეთილმოწყობის საშუშაოები. ამჟამად გაჰყავთ ახალი საქალაქო მაგისტრალები სტადიონის მშენებლობისაკენ, საავადმყოფოსაკენ. ბევრი ქუჩა დაფარულია ასფალტით. წელს მოასფალტდება ხუთი ქუჩა.

გაჩაღებულია მუშაობა ახლად გაშენებული კვარტალების კეთილმოსაწყობად.

ამ გაზაფხულზე ქალაქის ქუჩებში დაირგო ბევრი კანფეტის ხე და კრიპტომერია.

გაზეთი „სოვეტსკაია აბხაზია“.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი კალენდარული შეჯიბრება სსრ კავშირის 1953 წლის პირველობაზე. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და ვილნიუსის „სპარტაკის“ გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ლ ე ქ ც ი ე ბ ი

კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში 8 მაისს, საღამოს 8 საათზე, შედგება ლექცია ი. ბ. სტალინის ნაშრომის — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შემსწავლელთათვის თემაზე: „ი. ბ. სტალინის მიერ თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის აღმოჩენა და დასაბუთება“. ლექციას წაიკითხავს ამხ. ა. დოკვერი.

იქვე, 8 მაისს, საღამოს 8 საათზე, შედგება ლექცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შემსწავლელთათვის თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება პარტიული ცხოვრების ძირითადი კანონია“. ლექციას წაიკითხავს ამხ. გ. გვიშიანი.

ქ რ ო ნ ი კ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საგარეჯოს რაიონს გამოეყო ბოჯორმის სასოფლო საბჭო და მიეკუთვნა თიანეთის რაიონს.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გაუქმებულია შემდეგი სასოფლო საბჭოები:

1. საჩხერის რაიონის ცხამის სასოფლო საბჭო, სოფელი ცხამი მიეკუთვნა ანაგვეთის სასოფლო საბჭოს;
2. ცაგერის რაიონის ოფიტარის სასოფლო საბჭო;
3. წალენჯიხის რაიონის კალაგალის სასოფლო საბჭო. სოფელი კალაგალი მიეკუთვნა ფახულანის სასოფლო საბჭოს.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1953—54 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება იწყობა

1. აგრონომიული ფაკულტეტის: ა) აგრონომიულ და ბ) ნიადაგთმცოდნეობის და აგროქიმიის განყოფილებებზე.
2. სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტზე.
3. მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის ფაკულტეტის: ა) მევენახეობისა და მეხილეობა-მებოსტნეობის, ბ) მცენარეთა დაცვის და გ) ღვინის წარმოების ტექნოლოგიის განყოფილებებზე.
4. სატყეო-მეურნეობის ფაკულტეტზე.
5. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე.
6. მიწათმოწყობის ფაკულტეტზე.
7. ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტზე.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე ასაკისა, რომელთაც დაამთავრეს სრული საშუალო სკოლა ან ჩაბარეს საშუალო სკოლის კურსი ექსტერნატის წესით.

იმ პირთათვის, რომელთაც დამთავრებული აქვთ სპეციალური ტექნიკუმი, სავალდებულოა კანონით გათვალისწინებული სამწლიანი საწარმოო სტაჟი.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით ან ტექნიკუმი წარჩინების დიპლომით, რომლებიც მოხვედრილი არიან გამოშვების 5%-ში და შედიან ინსტიტუტში სპეციალობის მიხედვით.

დანარჩენები აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. აგრონომიული მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის ფაკულტეტის განყოფილებებზე:

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), ბ) რუსულ ენაში (წერასა და ზეპირში), გ) ფიზიკასა და დ) ქიმიაში.

2. სატყეო მეურნეობის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ჰიდრომელიორაციისა და მიწათმოწყობის ფაკულტეტებზე დამატებით აბარებენ გამოცდას მათემატიკაში (წერასა და ზეპირში).

3. სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტზე გამოცდებს აბარებენ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), რუსულ ენაში (წერასა და ზეპირში), მათემატიკაში (წერასა და ზეპირში), გეოგრაფიაში და სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. აგრონომიული (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი),
2. მებაღეობა-მებოსტნეობის და მევენახეობის (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი),
3. სუბტროპიკული მეურნეობის (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი),
4. მცენარეთა დაცვის (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი),
5. მეაბრეშუმეობის (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი),
6. სატყეო-სამეურნეო (კვალიფიკაცია — სატყეო მეურნეობის ინჟინერი).

გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), ბ) რუსულ ენაში (წერასა და ზეპირში), გ) ფიზიკაში, დ) ქიმიაში.

სატყეო მეურნეობის ფაკულტეტზე დამატებით აბარებენ მათემატიკაში (წერასა და ზეპირში).

დაუსწრებელ განყოფილებაზე გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი წლოვანების განუსაზღვრელად, მასთან ციოღებიან მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავენი, რასთვისაც ადგენენ ცნობას სამუშაოს შესახებ თანამდებობის აღნიშვნით. ცნობა დამოწმებული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის განყოფილების ან სასოფლო საბჭოს მიერ. მიღების დანარჩენი პირობები იგივეა, რაც დასწრებულთათვის.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე 20 ივნისიდან 30 ივლისამდე და თან დაერთოს შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), პასპორტი (წარედგინება პირადად), სამი ფოტოსურათი 3×4 სმ (გადაღებული უქუდოდ), სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების ცნობა.

შენიშვნა: 1. 1941, 1942 და 1943 წლებში გაცემული ატესტატები რეგისტრირებულ უნდა იქნას სათანადო რაიონის განათლების განყოფილებაში.

2. განცხადების შემომტანმა წინასწარ უნდა გაიაროს ინსტიტუტთან არსებული საექიმო კომისია.

მისაღები გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოს. ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

კონსულტაციის მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში ყოველდღე, გარდა კვირისა, 11-დან 5 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 33/35.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

8 მაისს	შ. გუნო — ფაუსტი
9 მაისს	დიდი რუსი მსახიობის ა. ვ. ნეჟდანოვას ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკლი ნ. რიმსკი-კორსაკოვი — მეფის საცოლე

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

№ 2 ჩვილ ბავშვთა სახლის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ **სოფიო აბრამის ასულ ლუნინას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-V, 8 ს. გამოსვენება 10-V, 2 ს. ნინოშვილის ქ. № 24.

სიმამრი ნესტორ, სიდედრი ანა, ცოლისძმები მიხეილ, დავით ოჯახებით, ცოლისდები მარიამ, ფ. მშვილდაძე, ქვისლი ს. ჩხეიძე იუწყებიან **მიხეილ სოფრომის-ძე კაპანაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები იუწყებიან **ნინო კაჭკაჭიევას** გარდაცვალებას.

პროფესორები ი. ტ. მენთეშაშვილი და ე. გ. გობრონიძე ოჯახებით იუწყებიან **მარიამ იაგორის ასულ ზურაბაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე გალინა, შვილი ნოდარ, რძალი ირა იუწყებიან **მიხეილ სოფრომის-ძე კაპანაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-V ქ. ქუთაისში. გამოსვენება ხახანაშვილის ქ. № 20.

მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის და რესპუბლიკის კლინიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან **მარიამ იაგორის ასულ ზურაბაშვილის** გარდაცვალებას.

მოქალაქე **კონსტანტინე დ